

ახალი განათლება

1 – 7 ივნისი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№20 (774) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ეროვნული სასწავლო გეგმა

მოსწავლე დიდი მოცულობის ინფორმაციის „საბარგულედ" არ უნდა გავხადოთ

გვერდი 2

კონტრასტული ბავშვობა

ლიხეთის საჯარო სკოლაში ხუთი პირველკლასელია და ხუთივე ოცნებობს ატრაქციონებზე, ზოოპარკში გასეირნებასა და იმაზე, რომ ერთხელ წავლენ დიდ წიგნის მაღაზიაში და თვითონ გადაწყვეტენ, რა იყიდონ.

მარითა: „ბოლოს წიგნი, 5 წლის რომ გავხდი, მაშინ მიყიდეს. ადრე ჩვენს სოფელში ქალაქიდან მოჰქონდათ წიგნები გასაყიდად და უფრო ვყიდულობდით. წიგნის მაღაზიაში ერთხელ ვიყავი ამბროლაურში, პატარა მაღაზიაა. ძალიან მინდა, ნახატებიანი ზღაპრები მქონდეს. ჩემი ოცნებაა ატრაქციონებზე გართობა, დედას სულ ვთხოვ, დამპირდა, თბილისში წაგიყვანო. ველოდები."

მარიამი: „დედამ ერთხელ მიყიდა საბავშვო ლექსების წიგნი ნახატებით, მე თვითონ წიგნის მაღაზიაში არასოდეს ვყოფილვარ. ვკითხულობ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებს და მომწონს. ძალიან მინდა, პრინცესებზე რომ არის, ის ზღაპრების წიგნი და „კარუსელებზე" გართობა."

ბიბი: „არ მახსოვს, ბოლოს როდის ვიყიდეთ წიგნი, წიგნის მაღაზია აქ არ არის და ამიტომ არც არასდროს ვყოფილვარ. მინდა, რომ ვიყიდო წიგნი ადამიანი ობობაზე. ვოცნებობ, ერთ დღეს ჩემს მეგობრებთან ერთად ზოოპარკში წასვლაზე."

ბიორიბი: „საბავშვო ბაღი რომ დავამთავრე, მაშინ მაჩუქეს საბავშვო წიგნი და ძალიან მიყვარს და ვუფრთხილდები. ჩვენთან არ არის წიგნის მაღაზია და სხვაგან დედამ არ წამიყვანა. არადა, მართლა ძალიან მინდა, რომ ვიყიდო ნახატებიანი ზღაპრების წიგნი, კიდევ ბეტმენის წიგნი მინდა, რომ მქონდეს. მეც ვოცნებობ „კარუსელებზე" გართობას."

ანი: „ჩემი ოცნებაა „ფიფქია და შვიდი ჯუჯას" ზღაპარი მქონდეს. ერთი წიგნი საბავშვო ბაღში მაჩუქეს, იმის შემდეგ წიგნი არ მიყიდია. ძალიან მიყვარს ლექსები და მინდა ლექსების წიგნი."

გვერდი 4



გვერდი 11

წიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის



პროფესიული უნარების სახელმძღვანელო

დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

თემატიკა: გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისგ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

ფასი – 15 ლარი   მიმდინარეობს ხელმოწერა

ეროვნული სასწავლო გეგმა

მოსწავლე დიდი მოცულობის ინფორმაციის „საბარგულედ“ არ უნდა გავხადოთ

ვაგრძელებთ ახალ, რევიზირებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე საუბარს. დღეს უშუალოდ საგნობრივ სასწავლო გეგმებში განხორციელებულ მნიშვნელოვან სტრუქტურულ და შინაარსობრივ ცვლილებებზე გვესაუბრება ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ექსპერტი თამარ ჯაყელი

– როგორ შეიცვალა საგნობრივი სასწავლო გეგმები და რით იყო ეს ცვლილებები განპირობებული?

– შეგახსენებთ, რომ პირველი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა 2006 წელს დამტკიცდა და 4 წლის განმავლობაში, 2006-2010 წწ-ში, ფუნქციონირებდა. 2010 წელს, მისი რევიზიის შედეგად, შემუშავდა მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის დანერგვის ვადად 2011-2016 წლები განისაზღვრა.

2014 წელს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა მეორე თაობის, ანუ 2011-2016 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმის რევიზიაზე დაიწყო მუშაობა. რევიზიის პროცესში ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებითი ცვლილებების შეტანის საჭიროება გამოიკვეთა.

შეიძლება ითქვას, რომ პირველი და მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა რეფორმასთან ადაპტაცია-შეგუების პერიოდში მოქმედებდა და ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ გამოწვევებს პასუხობდა.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა კი (ისევე, როგორც ჩვენს სისტემაში შემავალი ყველა საგანმანათლებლო ინსტიტუცია), განსხვავებული ამოცანის წინაშე დგას. საქმე ისაა, რომ დადგა (ცოტა დაგვიანებით) განათლების რეფორმის გარდამტეხი ეტაპი, როცა საკლასო ოთახებში თვისებრივი ძვრები უნდა განხორციელდეს, როცა ჩვენი სისტემის ყველა (და არა – ცალკეულ) სკოლასა და საკლასო ოთახში არსობრივად უნდა დაინერგოს მოსწავლის ძალთა განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლება, რაც აქამდე, ცალკეულ შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, არ მომხდარა.

შესაბამისად, ამ ეტაპზე, ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიის ამოცანაა მისი იმგვარად რესტრუქტურიზება, რომ მაქსიმალურად ითვალისწინებდეს არსებულ პრობლემებს და პასუხობდეს რეფორმის გარდამტეხი ეტაპის მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

– რა ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა რევიზიის დროს?

– სანამ პრობლემებს განვიხილავთ, პირველ რიგში აუცილებელია განვმარტოთ, რა ტიპის პროგრამებს განეკუთვნება ეროვნული სასწავლო გეგმა. ეს დაგვეხმარება არსებითი პრობლემების იდენტიფიცირებაში. ესგ კურიკულუმის ტიპის პროგრამაა. კურიკულუმი, როგორც ამ სიტყვის ეტიმოლოგია მოწმობს, მთავარ ყურადღებას ამახვილებს **„გზაზე“**, რომელიც უნდა განვლოს მოზარდმა, სხვა სიტყვებით, კურიკულუმი ორიენტირებულია მოზარდის განვითარების გზაზე. იგი „გზის გამკვალავ“ საგანმანათლებლო პროგრამად განიხილება, რომელმაც მოზარდი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უნდა მოამზადოს. შესაბამისად, კურიკულუმი გულისხმობს არა საკითხთა დასწავლაზე ორიენტირებულ სწორხაზოვან სასწავლო პროცესს, არამედ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გამოცდილების შემქმნელ პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდთა მრავალმხრივ „წრთობას“, მათში იმ ინტელექტუალური და შემოქმედებითი ძალების „გაღვესვას“, რომლებიც ახალ პირობებში ქვეყნისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სასიკეთოდ გარდასაქმნელად სჭირდებათ.

განათლების კურიკულუმისეული პერსპექტივა განსაზღვრავს მის სტრუქტურასა და კომპლექსურ შინაარსს. სტრუქტურული თვალსაზრისით, კურიკულუმი მიზნებზე ორიენტირებულ პროგრამას წარმოადგენს. ამ ტიპის საგანმანათლებლო პროგრამებში მიზნებზე ორიენტირება პრინციპული საკითხია – თითოეული საგნის სწავლების მიზნები საერთო დიდი მიზნებიდან უნდა მომდინარეობდეს და მას უნდა უკავშირდებოდეს, რათა საგნის სწავლა-სწავლება მართლაც დასახული მიზნებისკენ მიმართულ „გზას“ წარმოადგენდეს. საგნის სწავლა-სწავლების პროცესში გრძელვადიანი მიზნის მხედველობის არედან დაკარგვა „გზის“ დაკარგვას ნიშნავს, რაც იწვევს თვითმიზნურ, უფრო სწორად კი უმიზნო, არსაით მიმავალ დაქუცმაცებულ, ქაოტურ სასწავლო პროცესს, რომელიც, განვითარების ნაცვლად, მოსწავლეს დიდი მოცულობის ინფორმაციის „საბარგულედ“ ხდის, როგორც ამას აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე: *„ყმაწვილის ნორჩს გონებას ვტვირთავთ, საბარგულედა ვხდით რიცხვით აუარებელ და მრავალფერ ცოდნისათვის, იმისდა გამოურკვევლად თუ,* ***რა აზრით ვშვრებით*** *ამასა“*. იგი უმიზნოდ სწავლებას *„უდიდეს ცდომად“* თვლიდა *„ადამიანის ყოველ სხვათა ცდომათა შორის“*.

– დავუბრუნდეთ ისევ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც უნდა მოემსახუროს ესგ

– 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმების რევიზიის პროცესში სამი არსებითი პრობლემა გამოიკვეთა, რომელთა გადაჭრასაც უნდა მოემსახუროს ესგ-ს რევიზია, რომ შესაძლებელი გახდეს ეროვნულ სასწავლო გეგმის დანერგვა და განათლების ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება.

პირველი არსებითი პრობლემა, რომელიც რევიზიის პროცესში გამოიკვეთა, ესაა უმიზნოდ სწავლება, ანუ საგნობრივ საკითხთა ამოწურვაზე და არა მოსწავლის განვითარებასა და საგანმანათლებლო მიზნებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად განათლების რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი – საგნობრივ საკითხთა დასწავლა-ამოწურვაზე მიმართული პროცესის შეცვლა მიზნებსა და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული პროცესით, ჯერ არ განხორციელებულა.

საქმე ისაა, რომ პირველი თაობის კურიკულუმი საგნობრივი შინაარსის შემოსაზღვრის პასუხისმგებლობასა და თავისუფლებას მთლიანად მომხმარებელს, ანუ სახელმძღვანელოს ავტორებსა თუ მასწავლებლებს უთმობდა. ასე მაგალითად, პირველი თაობის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო გეგმაში ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მხატვრული ნაწარმოების გაგება-გაანალიზებისა და შეფასების უნარების განვითარება. თუ რომელი და რამდენი ნაწარმოების საფუძველზე უნდა მიღწეულიყო ეს მიზანი, ეროვნული სასწავლო გეგმა ამას არ აზუსტებდა, შინაარსის შემოსაზღვრის საკითხს ღიად ტოვებდა ორი მოსაზრებით: ერთი მხრივ, იმისთვის, რომ არ შეზღუდულიყო პედაგოგებისა და სახელმძღვანელოს ავტორების შემოქმედებითი თავისუფლება, მეორე მხრივ, იმისთვის, რომ პედაგოგებს მისცემოდათ სწავლა-სწავლების პროცესის მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობა. ამის შესაბამისად, ესგ-ს თითოეული საგნობრივი პროგრამა შინაარსობრივ საკითხთა ფართო არჩევანს სთავაზობდა პედაგოგებსა თუ ავტორ-გამომცემლობებს.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად იყო მზად სასკოლო საზოგადოება, და საერთოდ, ჩვენი განათლების სისტემა ამგვარი თავისუფლებისთვის?

– როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ჩვენი სისტემა მოუმზადებელი აღმოჩნდა ამისთვის, რაც არ არის გასაკვირი – საგანმანათლებლო შინაარსის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება ურთულესი ამოცანაა, რომელიც სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. თუკი ანგლოსაქსონურ საგანმანათლებლო პრაქტიკაში, საიდანაც მოდის კურიკულუმების ტრადიცია, ამ ფუნქციას ოდითგანვე სასკოლო კურიკულუმები ასრულებდა, ჩვენს პედაგოგიურ კულტურაში არ არსებობდა მიზნებზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გეგმების შემუშავების ცოდნა და გამოცდილება.

სწორხაზოვან პროგრამირებაზე აღზრდილი თაობა ამ ნამდვილად ძნელ ამოცანას თავს ვერ გაართმევდა. ეროვნული სასწავლო გეგმების მთავარი ბირთვი – საგანმანათლებლო მიზნები მხედველობის არედან დაიკარგა და ხელთ შეგვრჩა მიზნებს მოწყვეტილი შინაარსობრივ საკითხთა უზარმაზარი ჩამონათვალი. მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა იმ ფაქტმა, რომ ამ სარეკომენდაციო ხასიათის ჩამონათვალმა სავალდებულო საკითხების სახით გადაინაცვლა სახელმძღვანელოების სარჩევებსა თუ საგამოცდო პროგრამებში. სკოლებმა სახელმძღვანელო მიიჩნიეს „სავალდებულო პროგრამად“, საგამოცდო პროგრამის საკითხთა უზარმაზარი ჩამონათვალი – სტანდარტად, ამ საკითხთა ამოწურვა – განათლების მიზნად. ზოგადი განათლების ნამდვილი მიზანი – მოაზროვნე, შემოქმედი, პასუხისმგებელი მოქალაქის აღზრდა – დღის წესრიგიდან ამოვარდა. რამდენადაც საგამოცდო „სტანდარტის“ შეუსრულებლობა მუქარას შეიცავდა სასკოლო საზოგადოებისათვის, სწავლა-სწავლების პროცესმა სწორედ ამ მეორე „სტანდარტისკენ“ აიღო გეზი. ამის შედეგად, საკლასო ოთახებში, საგანმანათლებლო მიზნებზე ორიენტირებული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროცესის ნაცვლად, დაინერგა დიდი მოცულობის ფაქტობრივი მასალის დამახსოვრებაზე ორიენტირებული ერთფეროვანი პროცესი. *აი, ეს გახლავთ მეორე არსებითი პრობლემა* – დინამიკურ-ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებისა და აზროვნების განვითარების ნაცვლად, მოსწავლეთა გონების გადაქცევა ფრაგმენტულ ინფორმაციათა დიდი სიმრავლის საბარგულედ.

ასე რომ, გრძელვადიანი საგანმანათლებლო მიზნის მხედველობის არედან გაქრობამ ძალაუნებურად გამოიწვია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების ჩანაცვლება საგნობრივ საკითხთა სიმრავლეზე ორიენტირებული სწავლებით; განვითარების პედაგოგიკისა – სქოლასტიკური, ანუ ფორმალური, ზერელე, ფუტურო სწავლებით.

– და კიდევ ერთი, მესამე არსებითი პრობლემა...

– *მესამე არსებითი პრობლემა გახლავთ* უსიცოცხლო, სრულიად ფორმალური კავშირი ეროვნულ და სასკოლო კურიკულუმებს შორის.

ეროვნული სასწავლო გეგმა, როგორც კურიკულუმის ტიპის პროგრამა, გარკვეულ შეზღუდვებთან ერთად, ფართო არჩევანსაც უტოვებს სკოლებს. ამ აზრით, კურიკულუმი ეროვნული საგანმანათლებლო მეგაპროექტია, რომლის განხორციელების იმდენივე გზა არსებობს, რამდენი სკოლაცაა კონკრეტულ საგანმანათლებლო სისტემაში. შესაბამისად, ეროვნული კურიკულუმის არსებობა უპირობოდ გულისხმობს სასკოლო კურიკულუმის არსებობასაც. სკოლებმა საკუთარი პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებების, ადგილობრივი სასკოლო თემის მოლოდინების, სკოლისა თუ ადგილობრივად ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით, უნდა შეიმუშაონ სასკოლო კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული კურიკულუმის, მისი ხედვისა და ფილოსოფიის კონკრეტული სკოლის კონტექსტში რეალიზებას. კურიკულუმის ხედვისა და მთავარი პრინციპის გასატარებლად სასკოლო კურიკულუმმა თავისი ორი – ფორმალური (საგაკვეთილო) და არაფორმალური (კლასგარეშე, ანუ ექსტრაკურიკულური) – კომპონენტის გამოყენებით, თითოეულ მოსწავლეს უნდა შესთავაზოს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გამოცდილება, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდება, შეავსებს და გაამდიდრებს მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მხოლოდ ამგვარად შეიძლება იქცეს სკოლა მოსწავლის ცხოვრებისათვის მომზადების ინსტიტუციად.

აღსანიშნავია, რომ პირველი და მეორე თაობის კურიკულუმი სრულ თავისუფლებას უტოვებდა მასწავლებლებს სასკოლო კურიკულუმის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტთან დაკავშირებით, როგორიცაა საგნის სწავლა-სწავლების საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა. მართლაც, ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში არსადაა ნაჩვენები, თუ როგორ, რა პრინციპით უნდა განაწილდეს და დაიგეგმოს სასწავლო შინაარსი. სტანდარტში, რამდენადაც ის წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებს წარმოადგენს, შედეგები და ინდიკატორები თანწყობილადაა, თანადროულობაშია წარმოდგენილი და არ მიუთითებს რაიმე ქრონოლოგიურ განვითარებას. სწავლის პროცესი კი დროში უნდა განაწილდეს და დაიგეგმოს.

სასწავლო პროცესის ქრონოლოგიურად დაგეგმვა თავად სკოლებს ევალებოდათ. ამის უზრუნველსაყოფად სკოლებს სთხოვდნენ წლიური თუ თემატურ-კალენდარული გეგმების შედგენას. თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია იმის დასანახად, თუ რამდენად ფორმალურ ხასიათს ატარებს მათი დიდი უმრავლესობა, ხშირად ეს გეგმები გრიფირებულ სახელმძღვანელოთა სარჩევებს წარმოადგენს. სკოლის რეალობაში, სილაბუსიც და თემატურ-კალენდარული გეგმების შემუშავებაც, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რუტინულ-ადმინისტრაციულ, ფორმალურ, „მოსახდელ“ საქმიანობათა რიგს განეკუთვნება, რომელსაც მოზარდის აღზრდა-განვითარების ცოცხალ პროცესებთან არავითარი კავშირი არ აქვს.

ეს ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა, არსებული სტრუქტურითა თუ დიზაინით, ვერ ასრულებს თავის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას – დაეხმაროს სკოლებს და პედაგოგიურ კოლექტივს, დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული ცოცხალი საგანმანათლებლო პროცესი.

აუცილებელია, ეროვნულ სასწავლო გეგმაში იმგვარი მექანიზმების ჩადება, რომლებიც დაეხმარება სკოლებს, რეალურად გარდაქმნან სასკოლო ცხოვრების ძველი ფორმები, განაახლონ სასკოლო ცხოვრების შინაარსი და დაუკავშირონ ის ცხოვრების ახალ შინაარსს. ეს აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ სკოლამ შეძლოს თავისი უმთავრესი დანიშნულების განხორციელება – მოზარდების ცხოვრებისათვის მომზადება.

აი, ამ სამი არსებითი პრობლემის გადასაწყვეტად დაიგეგმა საგნობრივ სასწავლო გეგმებში არსებითი სტრუქტურულ-შინაარსობრივი ცვლილებების განხორციელება.

– კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა?

– მე ზოგადად მოგახსენებთ, რა ცვლილებებზეა საუბარი, შემდეგ კი, სხვადასხვა საგნის სასწავლო გეგმის განხილვისას, ამ ცვლილებებს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით გააცნობთ მკითხველებს.

მესამე თაობის საგნობრივ სასწავლო გეგმებში განხორციელებული ძირითადი ცვლილებებია:

1. საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს საფეხურეობრივ და არა წლიურ შედეგებს. საფეხურეობრივი სტანდარტები, რომლებიც მთელი საფეხურისთვის, საშუალოდ, 10-15 შედეგს მოიცავს, უფრო გამოკვეთს იმ გრძელვადიან მიზნებს, რომელთა განხორციელებასაც უნდა მოემსახუროს საგნის სწავლება ერთი საფეხურის ფარგლებში;

2. საგანთა სასწავლო შინაარსი რომ აღარ იყოს განუსაზღვრელი მოცულობის, საფეხურეობრივ სტანდარტებში შინაარსი შემოისაზღვრა და დასტრუქტურირდა გრძელვადიან მიზნებთან მიმართებაში; შინაარსის შემოსაზღვრა-დასტრუქტურირებამ, წესით, გააზრებული და გაღრმავებული სწავლისაკენ უნდა მისცეს გეზი საგანმანათლებლო პროცესს და არ გაუშვას, რომ კვლავ „ჩაიძიროს“ იგი უამრავ საგნობრივ სა-

ეროვნული სასწავლო გეგმა

კითხთა ზერელედ და გაუაზრებლად სწავლების მორევში.

3. საფეხურეობრივ სტანდარტებში შევიდა სასწავლო თემები, ანუ სასწავლო ერთეულები, რომელთა მიხედვითაც დროში განაწილდება და დაიგეგმება საგანმანათლებლო შინაარსი. თემები სხვა მნიშვნელოვან ფუნქციასაც შეასრულებს – უზრუნველყოფენ სასწავლო საკითხების შინაარსიან კონტექსტებში (და არა იზოლირებულად, კონტექსტებისგან მოწყვეტილად) დამუშავებას;

4. დაბოლოს, ეროვნული სასწავლო გეგმის თითოეული საგანი სკოლებს შესთავაზებს სტანდარტის თემების მიხედვით მომზადებულ არასავალდებულო ხასიათის ჩარჩო-გეგმებს. ეს თემატური ჩარჩო-გეგმები, თავისი საკვანძო შეკითხვებით, ტიპობრივი მიმდინარე და შემაჯამებელი აქტივობებითა თუ შეფასების სქემებით, ნათლად აჩვენებს პედაგოგებს, ტრენერებსა თუ სახელმძღვანელოს ავტორებს, თუ როგორ იგეგმება და ხორციელდება კურიკულუმის საფეხურეობრივი მოთხოვნები კონკრეტული საგაკვეთილო ერთეულების დონეზე.

აღვნიშნავთ, რომ თემატური ჩარჩო-გეგმები ერთგვარ წლიურ გეგმებს წარმოადგენს, და, სურვილის შემთხვევაში, სკოლებს შეეძლებათ მათი პირდაპირ გამოყენება. ეს ინსტრუმენტი შეამსუბუქებს მასწავლებლის შრომას, გაათავისუფლებს ფორმალურ-ბიუროკრატიული ხასიათის წლიური თუ თემატურ-კალენდარული გეგმების შედგენის ტვირთისაგან. ამასთანავე, ეს ჩარჩო-გეგმები პედაგოგებს დაეხმარება მსგავსი და კიდევ უკეთესი აქტივობების გენერირებაში.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ თემატურ ჩარჩო-გეგმებს მასწავლებლები საუკეთესოდ გამოიყენებენ, მათზე დაყრდნობით ადვილად აიმაღლებენ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების კვალიფიკაციას, სწრაფად განივითარებენ უნარებს, რომლებითაც შეძლებენ საგანმანათლებლო პროცესის სრულ განახლებას, მის გადასროლას უსიცოცხლო, დაჭაობებული კალაპოტიდან ახალ კალაპოტში და არსებული სიტუაციის ამოტრიალებას: მასწავლებლებს კი აღარ მოუწევთ საგამოცდო პროგრამების მოთხოვნების გათვალისწინება, არამედ საგამოცდო ცენტრს მოუწევს სასკოლო კურიკულუმების მოთხოვნათა გათვალისწინება და იმ კონცეფციის შეცვლა, რომელიც საფუძვლად უდევს სკოლის დამამთავრებელ გამოცდებს.

სამომავლოდ, როცა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და მიზნებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის კულტურა ამაღლდება, ესგ-ს უწყება სკოლებს მთლიანად გადაულოცავს წლიური გეგმების წარმოებას, თვითონ კი მხოლოდ არსობრივი მიმართულებებისა და სავალდებულო ცნებების განსაზღვრით შემოიფარგლება. ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს იქნება დეცენტრალიზაციის იმ პროცესის ყველაზე ლოგიკური დასასრული, რომელიც 2000 წლიდანვე განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტად იყო დასახული.

მაგრამ, ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ განათლების სისტემებში თავისუფლების მაღალ საფეხურებზე მიმავალი გზა, როგორც ეს ცხადყო მაკკინზის ჯგუფის მიერ განხორციელებულმა უნიკალურმა კვლევამ, გეზის მიმცემ, დამაკვალიანებელ ჩარჩოებსა და ინსტრუქციებზე გადის.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ ზემოთ აღწერილი ცვლილებები სრულად ხორციელდება საბაზო საფეხურის საგნობრივ სასწავლო გეგმებში. დაწყებით საფეხურზე მათი განხორციელება მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა, თუმცა მზადდება დაწყებითი საფეხურის გზამკვლევები, სადაც წარმოდგენილი იქნება ზემოთ ნახსენები ყველა ცვლილება, მათ შორის თემატური ჩარჩო-გეგმებიც.

ესაუბრა ლალი თვალაბეიშვილი

ინტელექტუალური თამაში

ბიზნესოლიმპიადა SBA

2017 წლის აპრილში, „საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-მ აჭარაში ინტელექტუალური თამაში „ბიზნესოლიმპიადა“ ჩაატარა. საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA საქართველოში ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ევროპის ხარისხის მართვის ფონდის EFQM-ის სერტიფიკატს ფლობს. სწორედ, EFQM -ის გზით „სრულყოფისკენ ორიენტირებული განვითარების“ პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ოლიმპიადა.

აჭარაში ჩატარებული ინტელექტუალური ბიზნესოლიმპიადა რიგით მეორე, პირველი თამაში თბილისში, 2016 წლის დეკემბერში, სტუდენტთა და აბიტურიენტთა ხელშეწყობის საერთაშორისო ასოციაციის (SEPIA) და აკადემიის ორგანიზებით ჩატარდა, რომელშიც თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების XI-XII კლასების მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. ოლიმპიადის იდეის ავტორი, SBA-ს კურსდამთავრებული და ამჟამად მისი ახალგაზრდა პროფესორი, **პაატა ცაგარეიშვილი** გახლავთ.

გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ SBA-ს სასწავლო გრანტებითა და ფულადი პრემიებით, მონაწილე გუნდებიდან, საუკეთესო კითხვის ავტორი, რომელიც სოციალური ქსელით გამოვლინდა, აკადემიის დირექტორმა პლანშეტური კომპიუტერით დააჯილდოვა.

ინტელექტუალურმა თამაშმა იმდენად დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა, როგორც მოსწავლეთა, ისე მხარდამჭერებისა და გულშემატკივართა მხრიდან, რომ ორგანიზატორებმა გადაწყვეტილება მიიღეს, ოლიმპიადას რეგულარული ხასიათი მისცემოდა და თამაშში რეგიონებიც ჩართულიყვნენ. გადაწყდა, პირველი ყოფილიყო აჭარა.

საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-სა და მისი პარტნიორების, SEPIA ინტელექტუალური თამაშის ავტორის და აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის, უშუალო მონაწილეობით დაიგეგმა თამაშები.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და რესურსცენტრის დახმარებით შეირჩა ქალაქ ბათუმის №1, №2, №9 №14, №22, №25 საჯარო სკოლები, სადაც ეტაპობრივად განხორციელდა შესარჩევი და შიდა თამაშები. მოსწავლეთა მხრიდან თამაშმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილით 500-მდე მოსწავლე დარეგისტრირდა. თამაშის წესების თანახმად, შერჩევის მეთოდით, პირველ ტურში 162 მოსწავლე ჩაერთო. ხოლო სუპერფინალში 30-მა მიიღო მონაწილეობა.

თამაშის ძირითადი მიზანია სკოლის ასაკიდანვე განუვითაროს მოსწავლეებს თანამედროვე საზოგადოებაში თავის დამკვიდრებისათვის აუცილებელი უნარები, გაეცნონ წამყვანი ბრენდებისა და კომპანიების, ცნობილი ბიზნესმენების იმ პრინციპულ მიდგომებს, რასაც მათი წარმატება ემყარება. გაეცნონ სხვადასხვა პროფესიების არსს, განავითარონ ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, საჯარო გამოსვლების უნარები. ოლიმპიადის მიზანია, მოსწავლეებს ხელი შეუწყოს დაეუფლონ პრინციპს „ისწავლე სწავლა“.

ოლიმპიადაში დიდი ინტერესით ჩაერთვნენ არა მარტო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, არამედ პატარებიც, მხარდამჭერი ორგანიზაციის, ბათუმის ბიზნესსკოლა „მინი ბოსის“ მოსწავლეები (V, VI, VIII-კლასელები). სწორედ „მინი ბოსის“ VI კლასის მოსწავლე **დავით ბოლქვაძე** გახდა ჟიურის რჩეული ნომინაციაში „საუკეთესო კითხვის ავტორი“, რომელიც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა სამახსოვრო ნიგნებით დააჯილდოვა.

ჟიური დაკომპლექტებული იყო აკადემიის პარტნიორი და ღონისძიების მხარდამჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლებით:

⇨ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან – **კახაბერ ერაძე**;

⇨ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **თეონა ბერიძე**;

⇨ აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე **თამაზ შავაძე**;

⇨ აჭარის შემოსავლების სამსახურის, მომსახურების სერვისცენტრის უფროსი **ლელა გურგენაძე**;

⇨ სს ტერაბანკის წარმომადგენელი **ნინო თოფურია**.

სუპერფინალზე გუნდებს შორის საინტერესო პაექრობა გაიმართა. მონაწილეები აზარტულობითა და მომზადების მაღალი დონით გამოირჩეოდნენ. თანაბარქულიან გამარჯვებულ გუნდებს შორის შედგა დამატებითი ტური, რომელმაც ოლიმპიადის გამარჯვებული გამოავლინა – სსიპ ბათუმის №25 საჯარო სკოლის გუნდი, **დათუნა მახარაძის** (გუნდის მენეჯერი), **ნინო მამულაძის**, **დიანა ცინცაძის**, **ნიკა დიასამიძის**, **ბექა მამულაძის** შემადგენლობით. გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების ყველა მონაწილეს გადაეცა SBA-ს 50%-იანი სასწავლო გრანტი, ხოლო ოლიმპიადის სუპერფინალის მონაწილეებს – საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს 20%-იანი სასწავლო გრანტი.

მონაწილეებს პრიზები გადაეცათ ასევე ღონისძიების მხარდამჭერებისგანაც. სუპერფინალში მონაწილე ყველა მოსწავლეს, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ გადასცა ვაუჩერი, რომლითაც ერთი წლის განმავლობაში, უსასყიდლოდ ისარგებლებენ პალატისა და ბიზნესის სკოლა „მინი ბოსის“ მიერ ორგანიზებული ნებისმიერი ტრენინგით. სამახსოვრო საჩუქრებით დაასაჩუქრა ასევე მონაწილეები ტერაბანკმა, ბათუმის ბიზნესის სკოლა „მინი ბოსმა“.

მხარდამჭერი ორგანიზაციის, შემოსავლების სამსახურის მიერ, 27 აპრილს, ოლიმპიადის სუპერფინალში მონაწილე მოსწავლეებისთვის მოეწყო ექსკურსია გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმსა“ და ბათუმის მომსახურების სერვისცენტრში. მოსწავლეები გაეცნენ საგადასახადო საბაჟო პროცედურებს, ამ სექტორში დასაქმების შესაძლებლობებს. ექსკურსიას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმის“ უფროსი **კიაზო ახალაია** და მომსახურების სერვისცენტრის უფროსი **ლელა გურგენაძე**. მებაჟეებმა და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა იმიტირებულ გარემოში უჩვენეს მოსწავლეებს ყველა საგადასახდო საბაჟო პროცედურა.

საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA წინსვლასა და წარმატებულ კარიერას უსურვებს მოსწავლეებს.

აკადემია მადლობას უხდის ღონისძიების ყველა პარტნიორს, მხარდამჭერს, თანადგომისთვის: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურს, სს ტერაბანკს, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატას, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შპს ფინანსური მართვის ჯგნუფს FMG, შპს „ინტელექტს“ და მის სკოლას „მინი-ბოსს“, სამოტივაციო ვებგვერდებს, მათი რიცხვი ოლიმპიადის პოპულარობასთან ერთად იზრდება.

საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA, SEPIA-სა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მომავალშიც გეგმავს ბიზნესოლიმპიადის ჩატარებას. SBA იმედოვნებს, რომ ოლიმპიადა მთლიან საქართველოს მოიცავს.

ია ერაძე
SBA-ს დირექტორი

1 ივნისი — ბავშვთა დაცვის დღე

კონტრასტული ბავშვობა

საპირველივნისო

მართალია, საპირველივნისო წერილია, მაგრამ სულაც არ ვაპირებ, ბავშვთა დაცვის საერთაშორის დღისადმი მიძღვნილ საჩვენებელ ღონისძიებებზე დავწერო რამე და ამით თავმოწონებული ღონისძიებების ორგანიზატორები საზოგადოებას გავაცნო, როგორც ქველმოქმედები ან ბავშვების ბედ-იღბლით დაინტერესებული კეთილშობილი ადამიანები, რომლებსაც ღამე არ სძინავთ მათი დარდით, ან ბავშვთა დაცვის საკითხებში მიღწეულ პროგრესსა და დეკლარირებულ პრინციპებზე ვისაუბრო. პრინციპში, არც ამის საწინააღმდეგო მაქვს რამე, მაგრამ უმთავრესი ბავშვების ის ყოველდღიურობაა, რომელიც ასე კონტრასტულად განსხვავდება იმ საზეიმო დღისაგან, რომელსაც ბავშვებს წელიწადში ერთხელ უძღვნიან და მსოფლიოს ყურადღებას იქცევენ, რომ ბავშვები და მათი უფლებები უპირველესია.

ძნელად წარმოსადგენ ყოფაში ბავშვების გაზრდა, მათი განვითარება და, უმეტესად ხელმოკლეობის გამო, არასრულფასოვანი კვებით შერყეული ჯანმრთელობა – ეს საქართველოში მცხოვრები ბავშვების ყოველდღიურობაა, რასაკვირველია არა ასი პროცენტის, მაგრამ უმეტესობის. ქვეყანაში ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო ყოველი მეექვსე ჯერ კიდევ საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს – ეს სტატისტიკა ქვეყნისთვის საკმაოდ დამაფიქრებელია, რადგან ისედაც რაოდენობრივად შემცირებული გენოფონდი ახლა ჯანმრთელობაშერყეული გენოფონდით იცვლება. ძნელია ღარიბი ქვეყნის ბავშვობა და კიდევ უფრო ძნელი, იყო ჩვენს ქვეყანაში „განსხვავებული“, ანუ შშმ ბავშვი, რომელსაც სიღარიბესთან ერთად სტიგმასთან და უამრავ სირთულესთან უწევს გამკლავება, მუდმივი ბარიერების გადალახვა, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ისევ და ისევ მშობლების თავდაუზოგავი მცდელობის შედეგია. ზოგს მეტად უმართლებს, ზოგს ნაკლებად, უპირატესობა იმ ბავშვებს აქვთ, რომლებსაც უფრო „მებრძოლი მშობლები“ ჰყავთ, შვილის უფლებებს ხმალამოღებული იცავენ და სახელმწიფოსგან ითხოვენ იმას, რაც, წესით, ბრძოლის გარეშეც ერგებათ. ასეთი შემთხვევებიც გამართლებაზეა, ყოველთვის სანადელს ვერ აღწევენ, მაგრამ ბოლო დროს გახმაურებული მშობლების პროტესტი „აუტიზმის“ სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე (რომლის თანახმადაც, მერია, 7 წლის ზემოთ ბავშვებს, 20 სეანსის ნაცვლად, 15 სეანსის დაფინანსებას სთავაზობდა) შედეგი გამოიღო. აღნიშნული ცვლილება, მერიაის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის განმარტებით, მერიამ სერვისის მიმწოდებლებთან კონსულტაციის შედეგად მიიღო და აუტიზმის რეაბილიტაციის სფეროში მომუშავე სპეციალისტებთან შეათანხმა. მაგრამ ცვლილებას არ დაეთანხმა ორგანიზაცია „ოჯახები დისკრიმინაციის წინააღმდეგ – FAD“, რომელიც სწორედ იმ მშობლების ორგანიზაციაა, რომლებიც საკუთარი და სხვისი შვილების უფლებების დაცვას ცდილობენ. მათი წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ცვლილების შესახებ მშობლებმა წინასწარ არაფერი იცოდნენ. *„FAD ფართომასშტაბიან აქციებსა და კამპანიებს გეგმავს, რათა მოხდეს პროგრამის განვითარება და არა უკუსვლა. ასევე, მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, დაინტერესდეს აღნიშნული საკითხით და არ შესწიროს სერვის პროვაიდერების ინტერესებსა და ქალაქის ლიმიტირებულ ბიუჯეტს ბავშვის უზენაესი ინტერესები და უფლებები.“* – ეს ამონარიდი ორგანიზაციის მიმართვის ტექსტიდანაა. ისედაც არასაკმარისი ABA თერაპიის სეანსების შემცირება ყოვლად მიზანშეუწონელი იქნებოდა, რადგან საერთაშორისო სტანდარტით თერაპიული პროცესი, კვირაში, 25-დან 40 საათს მოიცავს, ქართული რეალობით გათვალისწინებული კვირაში 5 საათის ეჭვის ქვეშ დაყენება, ბუნებრივია, ვერანაირ შედეგს ვერ მისცემდათ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს, რადგან სპეციალისტები „ოპტიმალურ გამოსავალზე“ გასვლას სწორედ კვირაში 20 საათის თერაპიით პროგნოზირებენ. ძვირადღირებული სეანსების მხოლოდ მშობლების სახსრებით დაფინანსება უკანასკნელი იმედის გაცრუების ტოლფასი იქნებოდა. მშობლებისა და ამ საკითხებზე მომუშავე ექსპერტების პროტესტმა შედეგი გამოიღო და დადგენილებაში ცვლილება არ შევიდა, 7 წლის და ზევით ასაკის აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის სეანსების რაოდენობა არ შემცირდება. თბილისის მერიის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესში შესული ცვლილების მიხედვით, პროვაიდერი კლინიკები ბავშვებს სერვისს 21 ლარის ნაცვლად, 20 ლარად გაუწევენ, რაც ნიშნავს, რომ, 600 ბავშვის ნაცვლად, 700 ბავშვი მიიღებს მომსახურებას. ასევე ცვლილება შევიდა რეგისტრაციის ჩანაწერში, რეგისტრაციის ვადად 2015 წლის 1 ივლისი გაუქმდება და ბავშვები, ვინც თბილისში დარეგისტრირდებიან, 1 წლის შემდეგ მომსახურების მომლოდინეთა რიგში ჩაჯდებიან.

ნაწილი პირველი – წიგნის ფესტივალი და ქართველი ბავშვები

ახლახან თბილისში წიგნის ფესტივალი დასრულდა. ჩემთვის ერთ-ერთი საყვარელი ღონისძიებაა. იქ მისულს, ასაკის მიუხედავად, აუცილებლად თვალი გაგექცევა საბავშვო წიგნებისკენ – ბავშვობაში ასეთი ფორმის, ზომის, ფერად-ფერადი, ილუსტრირებული, ხმოვანი, 3D წიგნები თვალით არც მინახავს და ვერც წარმომედგინა მათი არსებობა. ჰოდა, ამას შურით ვუყურებ ხოლმე, გულის სიღრმეში სულ მინდა, რომ მეც მქონოდა ასეთი წიგნები. სამწუხაროდ, დღესაც არიან ბავშვები, რომლებსაც თვალი გაურბით წიგნებისკენ, მაგრამ, ჩემგან განსხვავებით, მათთვის ისინი ფინანსების გამო არ არის ხელმისაწვდომი. იუნისეფის მიერ ჩატარებული „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ თანახმად, საქართველოში, 3-5 წლამდე ბავშვების მხოლოდ 58 პროცენტს აქვს სამი ან მეტი საბავშვო წიგნი. ამ შემთხვევაშიც, ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს უფრო მეტად, ვიდრე სოფლად მცხოვრებს.

დავინტერესდი, ფესტივალზე მისული ბავშვებისთვის რამდენად ხელმისაწვდომია წიგნები ან მშობლებს, საშუალოდ, რამდენი წიგნის ყიდვა შეუძლიათ წელიწადში შვილისთვის. პავილიონში, სადაც წიგნების ბაზრობა იმართება, უამრავი ბავშვი ირეოდა, ზოგი წიგნის საყიდლად იყო მისული, ზოგიც გასართობ ღონისძიებებზე დასასწრებად, ზოგიც უბრალოდ დედას გამოჰყვა. რამდენად ხელმისაწვდომია საბავშვო წიგნი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ რამდენიმე მშობელმა ისურვა, უმეტესობამ კი უპასუხოდ დატოვა. პრინციპში კითხვა უადგილო იყო, რადგან ფესტივალზე ბავშვების მიყვანა თავისთავად გულისხმობს მათთვის სასურველი წიგნების შეძენას. მაგრამ, არც ასეა საქმე, რადგან მშობლების ნაწილი მაინც ჩიოდა, რომ წიგნები ძვირი ღირს და ბევრმა ვერ შეძლო შვილისთვის ის წიგნი ეყიდა, რაც მას სურდა. რესპონდენტები ვინაობას არ გვიმხელენ, მაგრამ გვთხოვენ, რომ ამის შესახებ მაინც დავწეროთ, რომ წარმოუდგენლად ძვირი ღირს საბავშვო წიგნი და ასეთი დაბალი ხელფასით როგორ შეიძინონ, მით უმეტეს, ზოგი საერთოდ უმუშევარია, თუმცა, ამბობენ, რომ ხანდახან მაინც ახერხებენ.

უფრო საინტერესო აღმოჩნდა იმ ბავშვების სურვილები, რომლებიც წიგნის ფესტივალზე არასოდეს ყოფილან და ვერც მათთვის სასურველ წიგნებს ყიდულობენ. არადა, თანატოლების მსგავსად, მათაც ბევრი საყვარელი ზღაპრის გმირი ჰყავთ, რომლებსაც უბრალოდ მოყოლით იცნობენ, მულტფილმებით ან ნაჩუქარი წიგნებით, რომლებსაც ძალიან, ძალიან უფრთხილდებიან. რამდენიმე ბავშვმა მითხრა, რომ დედამ მათ ორი წლის ან ერთი წლის წინ უყიდა წიგნი. ადრე „თოვლის ბაბუასაც“ მოჰქონდა ხოლმე, ახლა იმასაც აღარ მოაქვს. ჩემი რესპონდენტები ლიხეთის საჯარო სკოლის პირველკლასელები არიან. სოფელი მაღალმთიან რეგიონს, რაჭას ეკუთვნის. კლასში სულ 5 ბავშვი სწავლობს და ძალიან მეგობრობენ. ბავშვებმა მითხრეს, წიგნებს ხშირად ერთმანეთისგან ვთხოულობთ, ან სკოლის ბიბლიოთეკიდან მიგვაქვსო. მართა, მარიამი, გიგი, გიორგი და ანი – კლასში სულ 5 მოსწავლეა. ხუთივეს ძალიან უნდა ატრაქციონებზე გართობა, ზოოპარკში წასვლა და წიგნის მაღაზიის ნახვა.

მართა: *„ბოლოს წიგნი, 5 წლის რომ გავხდი, მაშინ მიყიდეს. ადრე ჩვენს სოფელში ქალაქიდან მოჰქონდათ წიგნები გასაყიდად და უფრო ვყიდულობდით. წიგნის მაღაზიაში ერთხელ ვიყავი ამბროლაურში, პატარა მაღაზიაა. ძალიან მინდა, ნახატებიანი ზღაპრები მქონდეს. ჩემი ოცნებაა ატრაქციონებზე გართობა, დედას სულ ვთხოვ, დამპირდა, თბილისში წაგიყვანო. ველოდები.“*

მარიამი: *„დედამ ერთხელ მიყიდა საბავშვო ლექსების წიგნი ნახატებით, მე თვითონ წიგნის მაღაზიაში არასოდეს ვყოფილვარ. ვკითხულობ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებს და მომწონს. ძალიან მინდა, პრინცესებზე რომ არის, ის ზღაპრების წიგნი და „კარუსელებზე“ გართობა.“*

გიგი: *„არ მახსოვს, ბოლოს როდის ვიყიდეთ წიგნი, წიგნის მაღაზია აქ არ არის და ამიტომ არც არასდროს ვყოფილვარ. მინდა, რომ ვიყიდო წიგნი ადამიანი ობობაზე. ვოცნებობ, ერთ დღეს ჩემს მეგობრებთან ერთად ზოოპარკში წასვლაზე.“*

გიორგი: *„საბავშვო ბაღი რომ დავამთავრე, მაშინ მაჩუქეს საბავშვო წიგნი და ძალიან მიყვარს და ვუფრთხილდები. ჩვენთან არ არის წიგნის მაღაზია და სხვაგან დედამ არ წამიყვანა. არადა, მართლა ძალიან მინდა, რომ ვიყიდო ნახატებიანი ზღაპრების წიგნი, კიდევ ბეტმენის წიგნი მინდა, რომ მქონდეს. მეც ვოცნებობ „კარუსელებზე“ გართობას.“*

ანი: *„ჩემი ოცნებაა „ფიფქია და შვიდი ჯუჯას“ ზღაპარი რომ მქონდეს. ერთი წიგნი საბავშვო ბაღში მაჩუქეს, იმის შემდეგ წიგნი არ მიყიდია. ძალიან მიყვარს ლექსები და მინდა ლექსების წიგნი.“*

მართა, მარიამი, გიგი, გიორგი და ანი სკოლაში კარგად სწავლობენ, პროფესია ჯერ არ აქვთ არჩეული, მაგრამ ხუთივემ იცის, რომ კარგად უნდა ისწავლოს. მიუხედავად იმისა, რომ წიგნებს ხშირად ვერ ყიდულობენ, სკოლის ბიბლიოთეკის წიგნებს კითხულობენ და და სჯერათ, რომ ერთ დღეს მათი ოცნება ახდება – ერთხელ წავლენ დიდ წიგნის მაღაზიაში, სადაც ბევრი ლამაზი და ფერადი წიგნი იქნება და თვითონ გადაწყვეტენ, რა იყიდონ.

ისევ კონტრასტული ბავშვობა ქალაქსა და სოფლად მცხოვრებ ბავშვებს შორის.

ნაწილი მეორე – „ფარული შიმშილი“, ანუ როგორ იკვებებიან ბავშვები საქართველოში

ხუთი ჩვეულებრივი, დაბალშემოსავლიანი ოჯახი გამოვკითხე, დღის სტანდარტული მენიუ იმაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ბავშვი უნდა იღებდეს. ძირითადი საკვები: პური, მაკარონი, მცენარეული ზეთი, ლობიო, შედარებით იაფად ღირებული ბოსტნეული, ხორცი იშვიათად (ძირითადად, დღესასწაულებზე). იუნისეფის მიერ ჩატარებული კეთილდღეობის კვლევის თანახმად, საქართველოში ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო ყოველი მეექვსე ჯერ კიდევ საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს. უკიდურესი სიღარიბის (1.25 აშშ დოლარი დღეში, რაც სამ ლარზე ნაკლებია) დონე, 2013 წელთან შედარებით, შემცირდა, – 3.9-დან 2.1 პროცენტამდე, ზოგადად მოსახლეობაში, ხოლო 6-დან 2.5 პროცენტამდე – ბავშვებში. ზოგადი სიღარიბის დონე (ზღვარი დღეში 2.5 აშშ დოლარია – დაახლოებით, 5 ლარზე ნაკლები) მოსახლეობაში 2013 წლის 24.6 პროცენტიდან 18.5 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ბავშვებში – 28.4-დან 21.7 პროცენტამდე.

არასაკმარისი კვება მხოლოდ საკვების ნაკლებობას არ გულისხმობს და ის შეიძლება შემდეგმა ფაქტორებმაც განსაზღვროს: არასაკმარისი ცილები, ენერგია და მიკროელემენტები, ხშირი ინფექციები ან დაავადება, არასათანადო მოვლა და კვების რეჟიმი, ჯანდაცვის არასათანადო მომსახურება, უხარისხო წყალი და სანიტარიული პირობები. არასრულფასოვანი კვების შედეგების შესახებ არასახარბიელო სტატისტიკა გამოაქვეყნა იუნისეფმა. მის მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, საქართველოში, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში, მცირეწონიანობის (დაბალი წონა ასაკთან შედარებით) გავრცელებამ 1,2% შეადგინა; გამოფიტვა (დაბალი წონა სიმაღლესთან შედარებით) წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას



1 ივნისი — ბავშვთა დაცვის დღე

(1,6%); ჭარბწონიანობა – ზედმეტი წონა ბავშვის სიმაღლესთან შედარებით და სიმსუქნე მცირეწლოვანი ბავშვების 20%-ში და რეპროდუქციული ასაკის არაფეხმძიმე ქალების 42%-ში დაფიქსირდა. ბევრად უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ზრდაში ჩამორჩენა, როდესაც ბავშვის სიმაღლე ასაკთან შეუფერებლად მცირეა – 11%-ს შეადგენს. აზერბაიჯანული ეროვნების ბავშვებს ზრდაში ჩამორჩენის ბევრად უფრო მაღალი რისკი აქვთ (21%).

ამავე კვლევით გამოვლინდა, რომ საქართველოში ანემია ჯანმრთელობის გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში (23%), 15-49 წლის არაფეხმძიმე ქალებში (24%) და ფეხმძიმე ქალებში (27%). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ანემიის გავრცელების მაჩვენებელი, მცირეწლოვან ბავშვებსა და ქალებში, ზოგადად, უფრო დაბალია, ვიდრე მის მეზობელ ქვეყნებში, მნიშვნელოვნად მაღალია ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ანემია ყველაზე გავრცელებულია აზერბაიჯანული ეროვნების ბავშვებში (36%) და ქალებში (არაფეხმძიმე – 31%, ფეხმძიმე – 39%).

როგორც ვხედავთ, კვლევითაც დასტურდება, რომ კვების დეფიციტი, ანუ „ფარული შიმშილი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში და სამწუხაროდ, არასაკმარისი კვება ხშირად სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზიც ხდება, განსაკუთრებით, ბავშვებში. დასახელებულ დაავადებებს შორისაა ანემია, ჭარბწონიანობა, მცირეწონიანობა, ზრდაში ჩამორჩენა, მიკროელემენტების ნაკლებობა და გამოფიტვა.

* * *

საპირველივნისო წერილი საზეიმო არ გამოვიდა, რადგან პრობლემებით გარემოცული ბავშვების ყოველდღიურობა ასეთია და ერთი დღით ვერაფერს შევცვლით. სამწუხაროა, რომ საქართველოში ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ყოველი მეექვსე კი საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს. ჯერ კიდევ 3-დან 5 წლამდე ბავშვების მხოლოდ 62.3 პროცენტი იღებს სკოლამდელ განათლებას და ბავშვების 18 პროცენტი ბაღში იმიტომ ვერ დადის, რომ მათ რაიონში, უბრალოდ, საბავშვო ბაღი არ არის ან არსებულ საბავშვო ბაღს საკმარისი ადგილი არ აქვს. ჯერ კიდევ ისეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, სადაც მითებისა და რეალობის გარკვევას სერიოზული ძალისხმევა სჭირდება, სადაც საზოგადოების 40 პროცენტი ჯერ კიდევ იზიარებს სტიგმას, რომ შეზღუდული შესაძლებლობები გადამდებია და შშმ პირებს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად არ აღიქვამს; ჯერ კიდევ გვიწევს იმის მტკიცება, რომ „ამ სამყაროში შეზღუდული მხოლოდ გარემოა და არა შესაძლებლობები“; ვცხოვრობთ სახელმწიფოში, სადაც ყოველ კუთხე-კუნჭულში ხელგამოწვდილ პატარებს ვხედავთ, თუ როგორ ითხოვენ ლუკმა-პურისთვის შემწეობას. არ ვცდილობთ მათი უსუსურობის მიღმა ღრმად შევიხედოთ და ის რეალობა დავინახოთ, რამაც არასრულწლოვნები ქუჩაში გამოიყვანა. ხელისგულზე ხურდას დავუდებთ და კმაყოფილები, რომ დავეხმარეთ, ამაყად ჩავივლით „მომავალ გაჩერებამდე“. სულ ცოტა ხნის წინ პირველად ითქვა ხმამაღლა, რომ ეს ბავშვთა ექსპლუატაციაა და დროა ვიფიქროთ, როგორ დავასრულოთ ქუჩებში ბავშვების ექსპლუატაცია, დროა, მათ „მეტი შესაძლებლობების ფანჯარა“ გავუხსნათ და უკეთესი არჩევანის საშუალება მივცეთ, რადგან ქუჩაში შრომა მათი არჩევანი სულაც არ არის. მინდა „ყველა ფერი დავინახოთ“ , შშმ ბავშვი ნუ შეგეცოდებათ, უბრალოდ, მიეცით მას მეტი შესაძლებლობა, ვიცხოვროთ რეალობაში, მითების გარეშე! მხოლოდ ასეთი პირველი ივნისი მინდა, ჰქონდეთ ბავშვებს!!! დღე, რომელიც ყველასთვის ერთნაირად საზეიმო იქნება და მათ სიხარულს და ოცნებებს გამყოფ ხაზად სოციალური ყოფა არ დაედება, მკვეთრი კონტრასტები არ იქნება სოფელსა და ქალაქად მცხოვრებ პატარებს შორის, მათი უფლებები ხომ, დაბადების ადგილის მიუხედავად, თანაბარია. მინდა, მართას და მის მეგობრებს ასეთი პირველი ივნისი მივულოცო!

ლალი ჯელაძე

კონფერენცია

საუკუნეების წამებად ქცეული წუთები

2017 წლის 10 მაისი, დღე, როდესაც მე და ბატონი **რევაზ შეროზია** (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი) გავუდექით თურქეთის გზას, 12-14 მაისს, დუზჯეს უნივერსიტეტში, შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად. დუზჯე შავიზღვისპირეთის რეგიონია, მუჰაჯირი ქართველებით დასახლებული ერთ-ერთი ლამაზი ქალაქი, გამორჩეული უნივერსიტეტით. აქ, 2014 წლიდან, ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება. ამჟამად ამ სპეციალობაზე 70 სტუდენტი სწავლობს და წელს საბაკალავრო პროგრამის პირველი გამოშვება ჰყავთ.

გზა იყო გრძელი და დამღლელი... ფიქრები რუსთაველზე, მის გენიალობაზე, პასუხგაუცემელ კითხვებზე, იმაზე, თუ რამდენი ათასი უძილო ღამე უთენებია, ალბათ, პოეტს ამ დაუშრეტელი წყაროს შესაქმნელად, გზას მიმოკლებდა...

11 მაისს, დილის 9 საათზე, აქაბეს მივადექით, სადაც დაგვხვდა და მეგზურობა გაგვიწია ამჟამად დუზჯეს უნივერსიტეტის პროფესორმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მოამაგემ, ქალბატონმა **შორენა ლომაიამ**. ჩავსხედით მანქანაში და წავედით ქართული სოფლისაკენ.

დახვედრა იყო თბილი და ტკბილი. მათი გაბრწყინებული თვალებიდან ვკითხულობდი ბედნიერების განცდას... მიჭირს იმ გრძნობების გამოხატვა, რაც მათთან შეხვედრისას დამეუფლა. ვათვალიერებდი მწვანეში ჩაფლულ ამ პატარა სამოთხეს და თვალებს არ ვუჯერებდი, როცა ვკითხულობდი ქართულ ასოებს – „ოჯახური“... ვუყურებდი ცრემლნარევი სიხარულით და ფიქრებმა რუსთაველიდან ჩემი ქვეყნის ტანჯულ ისტორიულ წარსულში გადამისროლა... სულს და ხორცს რაღაცა მიწიწკნიდა... უცნაური გრძნობა მეუფლებოდა, მხოლოდ ერთადერთი კითხვა მაწვალებდა, რატომ...? ცოტა ხანში შემოგვიერთდა დელეგაცია თბილისიდან: განათლების სამინისტროს წარმომადგენელი **თინათინ ოძელი**, საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი, ისტორიკოსი **მანანა სანაძე**, რუსთველოლოგი **ნესტან სულავა**, ფერეიდნელი ქართველი **საიდ მულიანი** და უმშვენიერესი ქალბატონი ირანიდან, მხატვარი **ჰელენ იოსელიანი**. მათთან შეხვედრამ და გაცნობამ ფიქრები ცოტა ხნით უკან დახია. ამასობაში კიდევ ერთმა, დუზჯეში ქართულისა და საქართველოს ამაგდარმა ქალბატონმა, **მაკა სალიამ** მოგვაკითხა... ჩვეული მზრუნველობით ყველას მოესიყვარულა და დააბინავა... მე კი, როგორც მეგობარს, მის ოჯახში სტუმრობის პატივი მერგო. მთელი ღამე ერთმანეთს უჩვეულოდ გადაეჯაჭვა ფიქრები „ვეფხისტყაოსანსა“ თუ ისტორიულ წარსულზე.

დილით, 12 მაისს, უნივერსიტეტში, თავი მოიყარა თურქეთსა თუ საქართველოში მოღვაწე მეცნიერების დელეგაციამ (აქ იმყოფებოდნენ თურქეთიდან: სტამბოლის, ყარსის, ინეგოლის, ხოლო საქართველოდან: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები). ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა: „ქართული კალიგრაფიის“ კონკურსზე სტუდენტების მიერ შესრულებული ნამუშევრების, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების, რომლის კოლექცია ეკუთვნოდა სტამბულის ქართული კულტურის ასოციაციის ხელმძღვანელ ქალბატონს, **სეზენ-სალომე ბარამიძეს**, ასევე ირანელი ქართველის, **ჰელენ იოსელიანის** „ვეფხისტყაოსნის“ თვალისმომჭრელი ილუსტრაციების გამოფენა...

ამას მოჰყვა ორდღიანი სამეცნიერო კონფერენცია. სიმპოზიუმის ფარგლებში, მუშაობდა 9 სექცია. წაკითხულ იქნა 40-მდე სამეცნიერო მოხსენება. მოხსენებები ეხებოდა რუსთაველის ბიოგრაფიას, თამარის ეპოქას, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ და ენობრივ თავისებურებებს, თარგმანებს...

გულის ამაჩუყებელი გახლდათ სხდომის შემდეგ, **იბერია მელაშვილის** ხელმძღვანელობით, დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციასთან არსებული მუსიკალური გუნდის მიერ შესრულებული ხალხური სიმღერები, თუ აქვე არსებული ცეკვის ანსამბლის გამოსვლები, ინსცენირება „თინათინის გამეფებისა“ დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტების მიერ, მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლის, პოეტ **აბდულა ჩელების** ლექსის „მუჰაჯირობა“ მოსმენა და ბოლოს, ისევ თურქეთელი ქართველის, **ორჰან ბერიძის** მიერ ზეპირად წაკითხული „ავთანდილის ანდერძი“.

ემოციებით დატვირთული იყო საუზმე სოფელში. ისევ მხიარული და ბედნიერი სახეები ისტორიული ნათესავებისა. მხოლოდ უგულო-უგრძნობ-უცოდინარი ვერ დაინახავდა მათ თვალებში სიყვარულსა და სითბოს, ყველაფერი ქართულის გულში ჩაკვრით გაფრთხილებასა და ლივლივს. მათთან განცდილი და ნანახი სულს მიფორიაქებდა და ეს ყოველივე მაშინვე მინდოდა დამეწერა, მაგრამ ყველაფერი ერთად მაწვებოდა და ფიქრებს ფენებად ვერ ვალაგებდი, სული კი ნანახგაგონილ-განცდილით ნებივრობდა.

ეს იყო რამდენიმე საათის მანძილზე განცდილი საუკუნეების წამება. ბედნიერი ვარ ამ წუთებისთვის. ამ წუთების სახით კი, რუსთაველის ზეციური სიყვარულის კიდევ ერთხელ შეცნობა რომ მარგუნა უფალმა.

დიდი მადლობა ამ ლამაზი დღეებისთვის, თურქეთში ქართული საქმის კეთებისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებს: **მაკა სალიას**, **შორენა ლომაიას** და **ნანა კაჭარავას**. ამ გულიან ქართველებს, იმისათვის, რომ ჟამთა სვლით ერთმანეთს დაშორებულ ქართველთა გულებს შორის რუსთველისეული ღვთიური, ზეციური სიყვარული დაავანეს... მჯერა, გავა წლები და მათ ღვაწლს ისტორია დააფასებს, ხოლო სახელებს კი ოქროს ასოებით ჩაწერს.

მადლობა დუზჯელ ქართველებს – **ალი ერთუღრელს**, **ფევზი ჩელების** და სხვებს, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ ქართველებთან ერთად იღვწიან დედაენის, ქართული სულის გადასარჩენად.

სიმპოზიუმის გამართვა შეუძლებელი იქნებოდა უნივერსიტეტის რექტორის, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლის, **ნიგარ დუმირჯანის** თანადგომის გარეშე. აქტიურად იყვნენ ჩართულნი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

სიმპოზიუმის ორგანიზებასა და მუშაობაში მონაწილეობდნენ სტამბოლის, დუზჯესა და ინეგოლის ქართული კულტურის ასოციაციები. ასევე თურქეთის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქართველები, ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი ალი ერთუღრელი და ფევზი ჩელები.

ეს იყო ქართული გენის, ქართული კულტურის უკვდავების კიდევ ერთი აღიარება, რომელსაც გადაშენება არ უწერია მანამ, სანამ ასეთი დესპანები გვეყოლება ქვეყნის გარეთ.

კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა მათ ლამაზი წუთებისათვის. გამძლეობა, წარმატება იმ კეთილშობილურ საქმეში, რასაც საკუთარი ქვეყნის სულიერი საგანძურის გაფრთხილება და დაცვა ჰქვია.

ინგა არონია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

სასკოლო აქტივობა

არც წარსული დავივიწყოთ, არც დღევანდელობას ავცდეთ და მომავალი პერსპექტივებიც გავითვალისწინოთ

24 მაისს, თბილისის 24-ე საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში, IX^ბ კლასის მოსწავლეების – **გიგი ჯაგოდნიშვილის, ნინო თოდუასა** და **ლიკა შაკიაშვილის** მოთხრობების: „წარსულიდან დღევანდლამდე“, „ქვეგრიალა“ და „როცა ტალღები შლიან მოგონებებს...“ პრეზენტაცია გაიმართა. მოსწავლეებმა წაიკითხეს მოთხრობები და იმსჯელეს იმ თემების შესახებ, რასაც თავიანთ ნაწარმოებებში ეხებიან. ღონისძიების ორგანიზატორმა, ქრთული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, **თამარ ბარისაშვილმა** მოსწავლეებს სიმბოლური საჩუქარი – **ლალი დათაშვილის** წიგნი „ქრისტიანობის ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“ გადასცა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ 24-ე საჯარო სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები, სკოლის სკვერში მოქმედი ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ეკლესიის **დეკანოზი ნიკოლოზ გობეჯიშვილი**, რომელმაც მოსწავლეები დალოცა და წარმატებები უსურვა.

თამარ ბარისაშვილი: *„ღონისძიებისთვის 24 მაისი სიმბოლურად ავირჩიეთ, იმიტომ რომ ჩვენ ოცდამეოთხელები ვართ და ძალიან გვიყვარს ეს რიცხვი. დღეს ამაღლების წინა დღეა, ორ დღეში საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აღვნიშნავთ. ღონისძიებას შოთა რუსთაველის კვირეულის ფარგლებში ვაწყობთ და ამით ვეხმიანებით ჩვენს დამოუკიდებლობას, გამოვხატავთ პოზიციას ჩვენი სამშობლოსა და ასევე ქართული ენის მიმართ.*

ალბათ გაინტერესებთ, რატომ ავირჩიეთ ღონისძიების და მოსაწვევი ბარათის ლოგოდ წერო? წერო საოცრად საინტერესო სიტყვაა, რომელსაც ერთი ასო, თავსართი რომ დავუმატოთ, გადმოგვცემს იმ აზრს, რასაც დღევანდელი დღე ეძღვნება, ანუ ვ-წერ-ო. დიახ, ჩვენ ვწერთ, ჩვენ ვფიქრობთ, ჩვენ ვცდილობთ, რომ არც წარსული დავივიწყოთ, არც დღევანდელობას ავცდეთ და მომავალი პერსპექტივებიც გავითვალისწინოთ. ვისურვებდი, რომ დღევანდელი დღე იყოს საწყისი იმ დიდი ჩანაფიქრისა, რომელიც არაერთხელ გამოვხატეთ ქართულის კათედრაზე. მინდა, ლიტერატურული სახელოსნო დავაფუძნოთ ამ სააქტო დარბაზის გარემოში, რადგან წლების წინ, აქ პირველად იმღერა პაატა ბურჭულაძემ, პირველად თქვა ლექსი გოგი დოლიძემ, პირველად ააჟღერეს მუსიკა ზაზა მამალაძემ და მისმა გუნდმა, ასეთი ძალიან ბევრია, ჩვენს მეცნიერებზე აღარ ვსაუბრობ. ჩვენი სკოლის თანმდევია ესთეტიკური ხედვა და გემოვნება. ვიმედოვნებ, მხარდაჭერა გვექნება და ლიტერატურულ სახელოსნოში არა მარტო ჩემი მოსწავლეები წარმოგვიდგენენ ნაფიქრსა და ნააზრევს, არამედ ჩვენი სკოლის ყველა შემოქმედი, უნარითა და ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეც.“

გიორგი კაკაბაძე, 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს დღევანდელი დღის გალამაზებისთვის, არა მარტო თავიანთი ნაწარმოებებისთვის, არამედ იმ იმედისთვის, რომ პრაგმატულ სამყაროში გრძნობადის გამოხატვა შესაძლებელია, ეს არ არის სისუსტის ნიშანი, საამაყოა, ამ ბავშვებს ამის განცდა აქვთ და ჩვენამდე ეს განცდა და სათქმელი შესანიშნავად მოიტანეს. მათ მოთხრობებში ჩანს, რომ არ დაუწყიათ წერა ისე, რომ არ გაცნობოდნენ ბევრ მხატვრულ ლიტერატურას. ეტყობათ, რომ ბევრს კითხულობენ, რაც მისასალმებელია. მნიშვნელოვანია, რომ დღევანდელ პრაგმატულ გარემოში ბავშვები ცდილობენ, გრძნობად სფეროზე გულწრფელად ისაუბრონ, ეს პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯია სულიერებისკენ. დღევანდელ დროში სულიერება უნდა წარმართავდეს პრაგმატულობას და არა პირიქით. აუცილებელია შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების აღიარება. ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ „ლიტერატურულმა სახელოსნომ“ ხელი შეუწყოს ასეთი ბავშვების აღმოჩენას და მათი ნიჭის განვითარებას. დიდი მადლობა ქალბატონ თამარს დღევანდელი დღის ორგანიზებისა და იმ მიზნებისთვის, რაც მომავლისთვის დაგვისახა.“*

ნიკოლოზ ბერიძე: *„მიხარია, რომ დღევანდელ ღონისძიებაში ვმონაწილეობ და ჩემი მეგობრის – გიგი ჯაგოდნიშვილის მოთხრობას „წერილი დედას“ ვკითხულობ. ძალიან მიყვარს კითხვა, მაგრამ, როცა თანაკლასელების ნაწარმოებებს ვკითხულობ, განსაკუთრებული განცდა მეუფლება. ვინ იცის, ხვალ-ზეგ შეიძლება გიგის, ნინოს და ლიკას სახით ჭეშმარიტ მწერლებსაც შევხვდეთ.“*

* * *

„დედა, დედი, დე, ამ სიტყვებით მოგმართავ ყველაზე ხშირად, რატომღაც ჩემს ძმას ამით ვერ დავემსგავსე, რომ სათქმელი პირისპირ გითხრა. გახსოვს დედი, ოთხმოცდათორმეტში ჩემი ძმა შენთან მოვიდა, მე ჯერ ერთი ციდა ვიყავი, მოვიდა და გითხრა, რომ სამშობლოს ჭირდებოდა, შენ ტირილი დაიწყე, თუმცა გაუშვი... წასვლამდე ხელში ამიყვანა და მითხრა, დედას მიხედეო, პირობას გაძლევ დავბრუნდებიო... ერთ წელში დაბრუნდა, მართალია ყავარჯნებით, მაგრამ პირობა შეასრულა, დამიბრუნდა...

მას შემდეგ თექვსმეტი წელი გავიდა, დედი და მტერი ისევ არ ჩერდება. აგერ მოადგნენ უკვე გორსაც.

დე, გახსოვს სკოლიდან ნაცემი რომ მოვედი? შენ მკითხე რატომ იჩხუბეო, მე კიდევ გითხარი ქართველებზე ცუდს ამბობდნენ და ამიტომ ვიჩხუბე-მეთქი.

მაშინ მითხარი, რომ გმირი ვიყავი და ახლაც გმირობას ვაპირებ. ჩემს ძმასავით ვერ მოვალ შენთან და ვერ გეტყვი, რომ მივდივარ, მაგრამ ამ წერილით გაიგებ, რომ ამაღამ ცხინვალში მივდივარ... მოხალისედ ჩავეწერე...

დედი, პირობას გაძლევ, შენამდე მაინც მოვალ ან ცოცხალი ან მკვდარი. ჩემს ძმას კი გადაეცი, რომ მოგხედოს! 05. 08. 2008.“

„წერილი დედას“

გიგი ჯაგოდნიშვილი: *„ვერ გეტყვით, რომ წარმატებული მოსწავლე ვარ, მაგრამ მიყვარს ფიქრი, ოცნება... ხშირად მიფიქრია ისეთ თემებზე და პრობლემებზე, რომელიც უშუალოდ მე არ შემხებია, მაგრამ ჩემს წინა თაობებს შეეხო და ბევრი ტკივილი გადაიტანეს. ჩემი მოთხრობები, ძირითადად, ომის თემას ეხება, რადგან ძალიან მიყვარს ძველი ამბების მოსმენა, მტკივა და მაღელვებს ეს საკითხი. გარდა ამისა, ვწერ სიყვარულზე, რამდენიმე დეტექტიური ჟანრის მოთხრობაც დავწერე. ვფიქრობ, წერა გამომდის! სამომავლოდ მინდა, ჩემი ნაწერები წიგნად გამოვცე. საერთოდ, ბევრ რამეზე ვფიქრობ. ერთხელ თავი „ღიმილის ბიჭად“ წარმოვიდგინე. საქართველოს დაკარგული ტერიტორიები, ომები, რომლებიც ჩვენმა წინაპრებმა გადაიტანეს, რა თქმა უნდა, ჩემი პრობლემაცაა. ამიტომაც დავწერე მოთხრობები: „წარსულიდან დღევანდლამდე“ – უკანასკნელი წერილი და „წერილი დედას“. ჩემი თაობა, არ ვიცი, შეძლებს თუ არა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, მაგრამ, მჯერა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველო გაბრწყინდეს.“*

* * *

„დავიღალე... აღარ შემიძლია... არ მინდა, ვიყო ის, ვინც ვარ, არ მინდა, ვიყო ის, რასაც მეძახიან, მინდა თქვენნაირი ვიყო, მინდა ვიყო სტუმარი ღვთისა, მინდა გიყვარდეთ, მაგრამ რეალობა სხვანაირია.

ჩემს დანახვაზე შვილები სახლისკენ გარბიან, ცოლები და დედები აწყალებული თვალებით შემომცქერიან და თან ღმერთს ევედრებიან, რომ მათ სახლ-კარში არ შევაბიჯო.

ბოლო სამი წელია, სიკვდილის მაცნე ვარ.

დიახ, დიახ, სწაორედ ესაა ჩემი ნამდვილი სახელი, ოცდაცხრამეტში, ომის დაწყებიდან ერთი თვის თავზე, დავჯექი ამ ოხერ ორთვალა ველოსიპედზე და თითოეულ სოფელში, ყველა გარდაცვლილის ოჯახში მივიტანე წერილი, რომელშიც კაპიტნების მიერ გამოთქმული სამძიმარი ეწერა.

ამას წინათ, ჩემს სოფელში მიმქონდა წერილი, დამაინტერესა, ვინ მოკვდა, წერილი გავხსენი... ნეტავი საერთოდ არ გამეხსნა. ჩემი ბალღობის მეგობარი, გიორგი ღვინიაშვილი მოუკლავთ ქერჩში, ვოცნებობდი, რომ დედამისის სახლამდე ცოცხალს არ მიმეღწია. ეზოში შესული არ ვიყავი, რომ დეიდა ნატომ ტირილი დაიწყო, გიორგის ორი პატარა და ჰყავდა, ისინიც ჩუმად სლუკუნებდნენ. იმ წამს დავიფიცე, რომ არავის ოჯახში ცუდ ამბავს აღარ შევიტანდი. დღეს კი ამ ფიცს ვტეხ, ეს უკანასკნელი ცუდი ამბავი იქნება ჩემგან.

ახლა, ამ წამს, ჩემ თავზე ყულფი ჰკიდია, დავდგები სკამზე, წამოვიცვამ მას კისერზე და აღარ ვიქნები ის, ვინც ვარ. ნუ დამიტირებთ, ისედაც ბევრი გატირეთ.

დავიღალე...

მშვიდობით... 1942 წლის 20 ნოემბერი, თქვენი ფოსტალიონი კოტე ხუციშვილი.“

„წარსულიდან დღევანდლამდე – უკანასკნელი წერილი“

ნინო თოდუა: *„მოთხრობა „ქვეგრიალა“ ეძღვნება ჩემს ცისფერთვალა, უსაყვარლეს ადამიანს, მეგობარს ნიას. სწორედ მან შთამაგონა შემექმნა „ჩემი სამყარო“. ჩემი სათქმელი, ძირითადად, ის იყო, რომ ზოგჯერ ადამიანზე ვიღაც ან რაღაც ძალიან დიდ გავლენას ახდენს და ეს ეხმარება, ცხოვრებაში იპოვოს საკუთარი გზა. ჩემი მოთხრობის გმირი ანასტასია ჩვეულებრივი გოგო იყო, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია, იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაც მოხდა. როცა 13 წლის გავხდი, ანუ გარდატეხის ასაკში შევაბიჯე, როგორც ყველა გოგონას, მეც მქონდა რაღაც გაურკვეველი ემოციები, ამიტომ გადავწყვიტე ჩემი სადარდებელი გარეგნულად კი არ გამომეხატა, არამედ დამეწერა. ვწერდი ძალიან ბევრს. ეს ყველაფერი ჩემს დღიურში იწყებოდა და მთავრდებოდა, თუმცა, ერთ დღეს, გადავწყვიტე ჩემი შემოქმედების გასაჯაროება. ძირითადად ჩემი მოთხრობების გმირები გოგონები არიან, რომლებიც თავიდან ვერ აღწევენ წარმატებას, მაგრამ აქვთ გრძნობები, სიყვარული, მიზნები და საბოლოოდ მაინც აღწევენ წარმატებას. წერა ძალიან მიყვარს, თუმცა, ეს ჩემთვის მხოლოდ ჰობი და გატაცებაა. სამომავლოდ მინდა წარმატებული ექიმი გავხდე.“*

* * *

„...ზოგჯერ ვიღაც ან რაღაც ისე ცვლის არსებულ სიტუაციას, რომ მანამდე ვერც კი წარმოიდგენდი, თუ რა მოხდებოდა. რომ არა ის უცნობი, ალკოჰოლით გაჟღენთილი, ცისფერთვალება კაცი, არც ხატვას დავიწყებდი და არც მსოფლიოს მოვივლიდი ჩემი ნახატებით. შეიძლება ოდესღაც მართლა დამეწყო ხატვა, მაგრამ მე მაინც ამ ყველაფერს იმ კაცს ვუმადლი.

...და ახლა, რა ფერია თქვენი ცხოვრება?

– ჩემი ცხოვრება ცისარტყელას ჰგავს, როცა რაღაც მთავრდება, ეს ყოველთვის ახლის დასაწყისია. რომ არა ელენიკო, არც ანასტასია იარსებებდა – როგორც მხატვარი. უნდა იყო უბრალო, მაგრამ ორიგინალური, ენდო ღარიბებს, სიმდიდრე ფულით არ იზომება, წარმატებაა გვქონდეს ბედნიერი ცხოვრება ცისარტყელას ფერებით.“

ნაწყვეტი მოთხრობიდან „ქვეგრიალა“

ლიკა შაკიაშვილი: *„ჩემი მოთხრობა „როცა ტალღები შლიან მოგონებებს“ პალიტრა L-ის ლიტერატურული კონკურსისთვის დავწერე. პატარაობიდანვე მიტაცებდა როგორც კლასიკური მუსიკის ჟანრი, ისე დამწერლობა. ახლა ალბათ სწორედ ამან მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა ჩემზე. ეს ჩემი პირველი ნაწარმოებია, პირველი მოთხრობა, სადაც რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ჩემი თავი გამოვსახე გმირ შავკანიან ბიჭად, რადგან მინდოდა საზოგადოებისთვის დამენახებინა, რომ მთავარია არა ადამიანის რასა ან გენდერი, არამედ მისი ინტელექტი, ინტერესები და პიროვნული მახასიათებლები. ადამიანის კანის ფერს მნიშვნელობა არ აქვს. მსურს დაგანახოთ სამყარო, ფერადკანიანის პოზიციიდან და წარმოვიდგინო თავი მის ადგილას. თქვენც განიცადოთ ის, რასაც გრძნობენ ფეხის ყოველ ნაბიჯზე, რათა გაგიადვილდეთ სოლიდარობის გამოხატვა. ალბათ იფიქრებთ, რომ ზედმეტად პატარა ვარ ასეთ თემაზე სასაუბროდ, მაშინ ოტია იოსელიანის სიტყვებს შეგახსენებთ: „ჭკუა ასაკში კი არა, ჭკუა თავშია“. ამით იმის თქმა მინდა, რომ ასაკი უბრალოდ ციფრებია და ის ხელს ნამდვილად ვერ შეუშლის და ვერ შეაფერხებს ადამიანის განვითარებას. ადამიანის შესაძლებლობები ხომ დღითი დღე სცდება საზღვრებს.“*

* * *

„პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, არასოდეს დამავიწყდება თანატოლების დამოკიდებულება ჩემ მიმართ. მე, მხოლოდ ალფონსო კი არა, არავინ მემეგობრებოდა. ყველასგან გარიყული ვიყავი, ყველა გამირბოდა და მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ფერის კანი მაქვს. მხოლოდ იმის გამო, რომ მე მათზე მუქი ვარ, გესმით? ჩემი კლასელები იმაზე წუხდნენ, რომ მშობლებმა რაღაც სათამაშო არ უყიდეს. მე კი ის მაწუხებდა და გულს მიღრღნიდა შიგნიდან, რომ სხვა ფერი ვიყავი, არცერთ გოგოს არ მოვწონდი, ყველაზე მახინჯი ვიყავი, მათი აზრით, მე სათამაშო და თბილი სახლი კი არა, საჭმელიც არ მღირსებია ნორმალური, რადგან გაურბოდნენ შავკანიანთან საუბარს ან უბრალოდ სიახლოვესაც კი. მათთვის შავკანიანი მხოლოდ მონასთან ასოცირდებოდა, დი მარიების მსგავს შეძლებულ ოჯახებში სულ ჩვენნაირი მსახურები ჰყავთ. მათთვის ცალკე საპირფარეშო და ცალკე ჭურჭელი ჰქონდათ გამოყოფილი და ქალბატონთან ლაპარაკიც კი ეკრძალებოდათ. მე ბავშვობიდან ასეთ გარემოში ვიზრდები, ყოველწამს ზეწოლის ქვეშ ვექცევი, მხოლოდ ჩემი კი არა, ეს ამ კუნძულზე დასახლებული ყველა ფერადკანიანის გულის ტკივილია.“

ნაწყვეტი მოთხრობიდან „როცა ტალღები შლიან მოგონებებს“

მაკა ყიფშიანი

საუბრები ლიტერატურაზე

რეაბილიტირებული პერსონაჟი – კირილე მიმინოშვილი

ყველა კრიტიკოსს აქვს უფლება, ამა თუ იმ პერსონაჟისგან მოითხოვოს სოციალურ-კულტურული, პატრიოტული, მოქალაქეობრივი შეგნება, თუმცა როგორ აღიქვამს და გადმოგვცემს ამ გმირის სახესა და მრწამსს, მის ხედვაზეა დამოკიდებული. როდესაც ვკითხულობ, ყოველთვის ვცდილობ, ყურადღება გავამახვილო გმირის ხასიათსა და მხატვრული ფუნქციის შესაბამისობაზე. ჩემი აზრით, ამ მხრივ შეუდარებელია დავით კლდიაშვილი და მისი პერსონაჟი – კირილე მიმინოშვილი „სამანიშვილის დედინაცვლიდან“. კირილე მიმინოშვილს „წილად ერგო“ დიდი ხნის განმავლობაში ეტარებინა ფუქსავატი, არაფრისმაქნისი, „შეზარხოშებული“ აზნაურის სახელი.

საბჭოური კრიტიკა არ სწყალობდა კირილეს და მას ილია ჭავჭავაძის დათიკოს („გლახის ნაამბობი“), ეგნატე ნინოშვილის ტარიელ მკლავაძის („ჩვენი ქვეყნის რაინდი“), დავით კლდიაშვილის აბესალომ სალამთაძისა („ირინეს ბედნიერება“) და სხვათა შორის მოიხსენიებდა. გულახდილად გეტყვით, არც მე მიყვარდა კირილე მიმინოშვილი, ზედმეტი ადამიანის ტიპად, უსაქმურ, უდარდელ, უგულო ადამიანად მიმაჩნდა; თავსაც გავიმართლებ, ძირითადად ცოლის, დარიკოს, მიერ კირილეს დახასიათება მიქმნიდა ასეთ ფონს, ძმას რომ შესჩივლა, დაყანყალობს ასე ტყუილუბრალოდ, რა მოვუხერხო, არ ვიცი, ვერ ვამაგრებ სახლშიო. მერე, პოსტსაბჭოური აზროვნების რადიკალურად შეცვლისას, თქვენმა მონამორჩილმაც გადააფასა ეპოქის ყივილი, ჯაჭვების მსხვრევას რომ მოჰყვა და სინათლე და სითბოც ჩაეღვარა. კირილეს ფილოსოფიაა – *„კაცი მუდამ მხიარული უნდა იყვე და სხვასაც ეამება შენი შეხედვა“* – აღმოვაჩინე და მივხვდი, თავს იქ უფრო ლაღად ვგრძნობდი, სადაც იღიმოდნენ. დავასკვენი კირილეს სიმართლე. გაუნათლებელი კაცის პირობაზე მიმინოშვილმა ჩამოაყალიბა თავისი არსებობის არსი – იყო მხიარული და სახილველად სასურველი.

გაცნობისთანავე წარმოგვიდგება შნოიანი, მაღალი ტანის, კოხტად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი. ის სიყვარულით მოიკითხავს ცოლისძმას, მის ოჯახს, ცოლსაც თბილად და ბოდიშებით მიმართავს, რაც მთავარია, ამას გულწრფელად, დახვეწილად და იუმორით აკეთებს. დაუზარელი კირილე არც დაფიქრდება, ისე გაუწვდის „დახმარების ხელს“ სიძეს. ვკითხულობთ რა ნაწარმოებს, ვასკვნით, რომ მიმინოშვილი ერთგვარი სინათლის შემტანია მოთხრობაში, რაც დაკავშირებულია რამდენიმე იუმორისტულ ეპიზოდთან: ჩხუბი შაფათაძის ქორწილში, სალობერიძის ოჯახში თავმოყრილი საზოგადოების სალონური მყუდროების დარღვევა. ვფიქრობ, რომ ავტორმა ამ გმირით კონტრასტულად გამოკვეთა პლატონ სამანიშვილის მდგომარეობის სიმძიმე და სახე. ცხადია, კირილე მამა აბრაამის ბატკანი არ არის, მაგრამ არც კაცთმოძულეა, არც ცინიკოსი, როგორც საბჭოურ კრიტიკაში მონათლეს. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხი იცინის ამ უცნაური მაჭანკლობის გამო. რაღა კირილეს სიცილი გაგვიკვირდა?! მართალია, კირილეს უარყოფით შტრიხს სძენს პლატონისთვის ყველას გასაგონად წამოძახილი ამბავი, მაგრამ ამასაც თავისი ფუნქცია აკისრია – შემოვიდეს ახალი, თანაც საინტერესო პერსონაჟი არისტო ქვაშავიძე. უფრო ნათელი ხდება კონტრასტი ამ პერსონაჟებს შორის. კირილე გაჯერებულია გულწრფელობით, ამას ემატება ბახუსის ძალა, რომლის „წყალობითაც“ ვერ აკონტროლებს თავს. კონტრასტი უფრო მძაფრდება მაშინ, როცა პლატონი, რომელიც მაძებარივით უკან დასდევდა, მხარს არ უბამს სამხიარულო საქმეებში. კირილე არ სძულთ, მის ქარიზმატულ ბუნებას – ხშირ სულიერ ფორმაციას – იუმორით აღიქვამენ. გამოდის, რომ მიმინოშვილი არაა გარიყული, ჰარმონიას მოწყვეტილი, არამედ ნაწილია მთელისა, თავქარიანია, მაგრამ არა აღვირახსნილი, მე თუ მკითხავ, არც ჩხუბისმოყვარეობა აკნინებს, ეს თვითდამკვიდრებისა და თვითგამოხატვის, არსებობის ფორმაა, ესეც, ვფიქრობ, „შევუნდე“ კირილეს...

და მაინც, ვინ არის კირილე მიმინოშვილი? კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია დოვლათი, არც შია, არც სწყურია, არც სცივა დ არც სცხელა. ხვალინდელი დღეც არ აშინებს, იქნებ ერთ-ერთი იმათგანია, ქართული გორდა რომ დაუჟანგდა, მორბელაძეები, საქარაძეები, ქათამაძეები, პლატონი, ოტია, დარისპანი, აი, ამათმა დროებამ შეაყენა კირილე – მხედარი, მოგზაური, მეოცნებე რაინდი, რომელსაც ასპარეზი აღარ აქვს და დონკიხოტისაგან ცოტათი განსხვავებით, იგონებს ხიფათს, თავგადასავლებს, გმირობას, რა ქნას, ასე „მოსდგამს გვაროვნობით“. არ ვცდილობ კირილე მიმინოშვილის გამართლებას, მაგრამ, გარკვეულწილად, მეცოდება პერსონაჟი, რომელსაც საბჭოური კრიტიკით დასჯილს, დღესაც რეაბილიტაცია უხდება.

ლია გერძენიშვილი
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. *ბარდაველიძე 1981: ბარდაველიძე ბეჟან, დავით კლდიაშვილის მხატვრული სამყარო, თსუ, 1981.*
2. *კლდიაშვილი 2012: კლდიაშვილი დავით, „სამანიშვილის დედინაცვალი“, ქართული ენა და ლიტერატურა, XII კლასის სახელმძღვანელო, გამომც. „სწავლანი“, 2012.*

კითხვის სტრატეგია – ვკითხულობთ ტექსტს

ნაწარმოების გააზრებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დეტალებზე დაკვირვებას. დეტალების შექმნის ხელოვნებას არცთუ ისე ბევრი მწერალი ფლობს. ამ მხრივ საინტერესო და გამორჩეულია ილია ჭავჭავაძე. იგი, ღრმა მსოფლმხედველობით დამძიმებული რეალისტი მწერალი, იყო არა მხოლოდ აღმწერელი, არამედ შემფასებელიც არსებული რეალობისა. ის იყო შემოქმედი, რომელიც, თუ აფასებდა, აფასებდა სერიოზულად, მკაცრად და პირუთვნელად. ის იყო შემოქმედი, რომელმაც ლიტერატურა აზროვნების საგნად აქცია. იგი მტკიცე საფუძველს ემყარებოდა, ყოველთვის ლოგიკურად აანალიზებდა და ნათელყოფდა საძიებელი საგნის მთელ ბუნებას, ქმნიდა ისეთ დეტალებს, როგორებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს და როგორებზეც უნდა გაამახვილებინოს მასწავლებელმა ყურადღება მოსწავლეებს.

ალბათ, აუცილებელია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ შემოქმედისთვის იმას კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, მოხდენილად გადმოეცა მხატვრული თვალსაზრისით, არამედ იგი მხატვრულ ლიტერატურას იყენებდა, რათა უკეთ მიეღწია ნათელი და სოციალურად ღირებული მიზნებისათვის. მისთვის საინტერესო იყო ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები. სწორედ ეს ჩვეულებრივი და თითქოსდა წვრილმანებით ავსებული ყოფა გადმოსცა მან დეტალებით ნაწარმოებებში: „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „კაცია-ადამიანი?!“... და მიაღწია, რომ ყოფით წვრილმანებს მრავლისმეტყველი მნიშვნელობა მინიჭებოდა.

შემოქმედებაში პირველივე ნაბიჯები ილიას გარემოთი უკმაყოფილებამ გადაადგმევინა. მისი მოღვაწეობა დაემთხვა ძველის ნგრევის პერიოდს. ილიამ საზოგადოებას მიაწოდა ახლის შენების იდეა. მის ნაწარმოებებში ნათლად ჩანს მიზნის დასახვა და მოქმედებისათვის საჭირო რჩევები. მწერალი არასოდეს კმაყოფილდებოდა მხოლოდ არსებულის გამოკვლევით, მუდამ გარემოს შეცვლისაკენ ისწრაფოდა, რჩევას იძლეოდა. მის თხზულებათა უმრავლესობა მრავალპლანიანია, ფართოა მწერლის გააზრება და ხედვა, რაც განსაკუთრებით ნათლად იკვეთება „ოთარაანთ ქვრივში“ – ერთ მხარეს დგას გლეხობა, მეორე მხარეს – თავადაზნაურობა, მათ შორის ხიდია ჩატეხილი.

არჩილი და კესო ერთი ოჯახის წევრები არიან, ერთნაირად აღზრდილნი და განათლებულნი, მაგრამ მათი აზროვნება განსხვავებულია. ქალს უჭირს იმას ჩასწვდეს, რასაც არჩილი უკვე მიხვდა ისევე, როგორც ქვრივისა და მისი შვილის მოქმედებები ვერ გაუგიათ გლეხებს: *„...ეგ კაცი ან გიჟია, ან ერთი რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედ-მეთქი“.* კესოსთვის გიორგი მხოლოდ მოჯამაგირეა, არჩილისათვის კი – გადაშლილი წიგნი: *„გიორგი მთელი წიგნი იყო ხიდგაღმა დაწერილი... სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი... წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ“.* აღსანიშნავია, რომ არჩილს არ უკვირს გლეხის ღირსება, ამავდროულად, ისტორიული მეხსიერებით გამოყოლილი დამოკიდებულება არ აძლევს საშუალებას, რომ გიორგის კესოს სიყვარული შეატყოს. *„წმინდაა ეგ ცრემლი,“* – ეუბნება არჩილი დას, როცა *„გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილ“* გულზე ესაუბრება. ცრემლი ხომ გადავსებული გულის ნაწილია, ის, რაც გულმა ვეღარ დაიტია, გაარღვია მისი კედლების შრეები, გამოქანებულ ტალღასავით გადალახა გზა თვალის გუგებამდე და მთელი ძალმოსილებით მიაწყდა, გამოჟონა თვალის უპეების ნაპრალებიდან და გრძნობებად ქცეული ჩამოცოცდა სახის ნაკვთებზე. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ აქვე გავიხსენებთ არისტოტელეს სიტყვებს: *„...წარმოდგენისას ხდება კათარზისი, განწმენდა“.* ეს ცრემლი სწორედ არჩილისა და კესოს სულიერი განწმენდის, სულიერი ამაღლების ნიშანია. ნიშანია, რომ კიდევ უფრო მეტად წააქცევს კედელს ორ წოდებას შორის, კიდევ უფრო პროგრესულად მოაზროვნენი გახდებიან.

თევდორე მოქმედი პირი არაა, მაგრამ ქვრივის გაბნეული სიტყვები საკმარისია მისი სახის დასანახავად. განსაკუთრებით საინტერესოა, მოსწავლემ ქალის დატირებიდან ამოიცნოს თევდორეს დაუვიწყარი სახე: ხალისიანი, ლაღი, ბედნიერი კაცისა, რომელმაც გარჯის ფასიც იცის და მხიარულებისაც („ზარიანი სიცილი“).

არც ეს დეტალი უნდა გამორჩეს მასწავლებელს: „ტოლსადები მეუღლე“ – თუ ვხედავთ, რომ ოთარაანთ ქვრივი გამრჯე, სამართლიანი, შეუპოვარი, უშიშარი, გონიერი ქალია, ადვილად მისახვედრია, რომ მისი „ტოლი“ მეუღლეც ასეთივე იქნებოდა, აუცილებლად უფრო მეტიც, რადგან სხვაგვარს ქვრივი არ შეიყვარებდა, სიცოცხლეს მას არ მიუძღვნიდა, სიცოცხლეს გლოვაში არ გაატარებდა.

ხშირადაა ნაწარმოებებში დედის სიყვარული, თავგანწირვა შვილისთვის, იშვიათად – მამის. აქ სწორედ მამობრივი გრძნობის განსაკუთრებულობაზე მიუთითებს: „თოფი ხაზინიანია“.

ოთარაანთ ქვრივის ხასიათის აღსაქმელად ბევრი ადგილი დაეხმარება მოსწავლეს. თავად მოთხრობაც ქალის აღწერაა. მაინც, ვფიქრობ, სასურველია, მასწავლებელმა ყურადღება შეაჩეროს შემდეგ დეტალებზე (დეტალებს ვამბობ, რადგან გაშლილად ამ საკითხთან დაკავშირებით არც მსჯელობს, არც რაიმე მოქმედება ჩანს): – ფული რა არის?!.. ხელის ჭუჭყია – აშკარაა ქვრივის დამოკიდებულება ფულის მიმართ, საჭიროდ კი მიიჩნევს, მაგრამ მისი მონა არ ხდება, არაფრად მიიჩნევს მის დახარჯვას, ოღონდ ღირსება დაიცვას. სწორედ ღირსება გასდევს ქალის ყველა მოქმედებას, თუნდაც მაშინ, როცა ქალი არჩილს სთხოვს, გიორგი მოჯამაგირედ აიყვანოს, ეუბნება: *„ჩემი შვილი ჯერ მე დამეკითხა“.* ლოგიკური ბმა

ვასწავლით „მამათა და შვილთა დაპირისპირებას“. რაც უნდა კარგად გავაანალიზოთ ორივე მხარის ლექსები, ბევრი რამ მაინც ნათელი არაა მოსწავლისათვის. „შვილთა“ ბანაკის, „თერგდალეულთა“ იდეების თვალსაჩინო მაგალითია არჩილი. არჩილის ქცევისა თუ საუბრის დეტალები დაეხმარება პედაგოგს, დაანახვოს, თუ რა სიახლეებია თერგდალეული თავადის ქცევით, რომელიც მამებისათვის კატეგორიულად მიუღებელი იქნებოდა. არჩილი ახალი ფორმაციის თავადია, რომელიც გლეხს თავის სკამს უთმობს და ჩაის სთავაზობს.

მე-19 საუკუნე გაცილებით დემოკრატიული იყო, ვიდრე ყველა წინამავალი საუკუნე და მაინც საეჭვოა, დემოკრატიულად მოაზროვნე გრიგოლ ორბელიანი (რომელიც ამბობს: *„მიეცით ნიჭსა გზა ფართო...“* და ორთაჭალის ბაღში მედუქნე ლოპიანასთან ქეიფობს) თავის ნატიფად მორთულ დარბაზებში ასე მოქცეულიყო. კიდევ ორი წვრილმანი მიუთითებს, რომ არჩილი, ავად თუ კარგად, ცდილობს ბატონსა და ყმას შორის აღმართული კედლის წაქცევას. ერთი, სწორედ მისი ალალი სიტყვებია გიორგის წკიპურტზე: *„მე მას შეგირდად მივებარებიო“.* განა გიორგის მეტი ან იმდენი მაინც აქვს წაკითხული, რამდენიც არჩილს? ან, საერთოდ, წერა-კითხვა იცის? მაშ რა უნდა ისწავლოს რუსეთში განსწავლულმა თავადმა უბრალო გლეხისაგან? გამოცდილება, მამა-პაპათა გამოცდილება, ათასწლობით შემოწმებული გამოცდილება! მაგრამ ცოტა მეტსაც ხომ არ გულისხმობს ავტორი? მეორე კი ორიოდე სიტყვაა, რომელსაც არჩილი ეუბნება კესოს გლეხებზე: *„მე ამათგან ზოგჯერ ჭკუასა და ზოგჯერ ენასა ვსწავლობო“,* ალბათ უნდა ვთხოვოთ მოსწავლეებს, განმარტონ ეს ადგილი და დავეხმაროთ იმის გააზრებაში, რომ ის სწავლობს ქართულ მდიდარ ლექსიკას, სწავლობს სინტაქსური კონსტრუქციების აგებას, სწავლობს სტილს... ამით მიგვანიშნა, რა, როგორ ვისწავლოთ და დავიცვათ ენაში, რომ არ დავკარგოთ ამ გლობალიზაციის ჟამს.

მინდა შევეხო იმ დეტალებს, რომლებითაც ილიამ არა მარტო სიტყვით, პერსონაჟთა თვისებებითაც გვაჩვენა, რა არის საჭირო ამ ორი ფენის გასაერთიანებლად. საინტერესოა არჩილის სიტყვები, როცა კესოს ეუბნება: *„ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს“.*

დაც და ძმაც პატივს სცემენ ოთარაანთ ქვრივს. ავტორმა არ დაიშურა კარგი თვისებები ქალისათვის და არჩილიც კარგად ხედავს მის ღირსებას: სამართლიანობას, პირდაპირობას, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას... და აფასებს მას. ქვრივის ნებართვის გარეშე ისეთი სასურველი მოჯამაგირეც კი, როგორიც გიორგი იყო, არ აიყვანა: *„...შენ მოგერიდენით. შენი დიდი ხათრი გვაქვს და ხათრს ვერ გაგიტეხთ. შენს უნებურად ეგ საქმე არ მოხდება“.* არც ერთი სიტყვა ან გამოხედვა არ ჩანს არჩილისა, რომელიც გლეხის ქალს დაამცირებდა, ღირსებას შეულახავდა.

ოთარაანთ ქვრივის დამოკიდებულებაც განსხვავებულია და-ძმის მიმართ. თანასოფლელების მიმართ მუდამ კრიტიკულად განწყობილი ქალი, თუ მათზე კარგს გაიგონებდა, იტყოდა: *„ჭკუა აქვთ და იმიტომაო“.*

ეს ორი პერსონაჟი, არჩილი და ოთარაათ ქვრივი, არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როდის იქნება შესაძლებელი „ჩატეხილი ხიდის“ სხვადასხვა მხარეს მყოფი ორი ფენის – გაკეთებულისა და შექმნილის, დაბლანდულისა და დაგვირისტებულის, დონდლოსი და ჩაკრულის – გაერთიანება და ნახევარკაცების კაცებად ქცევა. ეს მოხდება მაშინ, როცა გლეხები ზნეობრივად, სულიერად ამაღლდებიან ოთარაანთ ქვრივის მსგავსად (იმდენად მაინც, რომ სხვისი სიკეთე არ გააკვირვებთ), ხოლო თავადები გახდებიან ისეთი თავმდაბლები, როგორიც არჩილი, დაფასება თუ არა, დანახვა მაინც შეეძლებათ გლეხის ღირსებისა. სწორედ მაშინ წაიშლება მათ შორის წოდებრივი ზღვარი, რომელიც ხელს უშლის ერის გაერთიანებასა და გამთლიანებას.

ავტორს აქვს იმის იმედი, რომ გლეხები უკვე შეუდგნენ ქვრივის გზას. ამის თქმის საშუალებას მაძლევს ერთი ფრაზა: *„მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაციო, – იტყოდა ხოლმე დათია ბადიაშვილი ოთარაანთ ქვრივ ზედ, – არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა... იმისი ხელი და ფეხი დილიდან საღამომდე არ დადგებაო“.* სწორედ ეს დათია ბადიაშვილი არის მიმდევარი ოთარაანთ ქვრივისა, ისევე, როგორც ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგის“ პერსონაჟი ზუ დარჩა იგის „კვალი“, რომელსაც ალბათ მალე სხვებიც მიბაძავენ, რადგან დათია ზემოთ აღნიშნულ სიტყვებს „იტყოდა ხოლმე“. არჩილს კი კესო უახლოვდება თავისი აზროვნებით.

საინტერესო პერსონაჟია სოსია მეწისქვილე. რა ფუნქცია აკისრია მას ნაწარმოებში? განა მხოლოდ ქვრივის ღირსების წარმოჩენა? *„ეგ სხვა დედის შვილია!.. მაგას ოთარაანთ ქვრივის შვილს ეძახიან!“* უპრიანი იქნება მოსწავლეებს შევახსენოთ, რომ არ არსებობს პერსონაჟი, რომელსაც თავისი მისია არ აკისრია ნაწარმოებში... და რა არის მეწისქვილის ფუნქცია? განა ისიც ისეთივე უპასუხო სიყვარულის მსხვერპლი არაა, როგორიც გიორგი? განა გიორგის რომ ეცოცხლა, სოსიას ბედს არ გაიზიარებდა? ალბათ ავტორმა სოსიას სახით გიორგის სიბერე გვაჩვენა, *„მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცისამარა დღეს მზეს შევყურებო“.*

რა თქმა უნდა, მასწავლებლის როლი დეტალებზე ყურადღების გამახვილებაში დიდია. თუ ხაზს არ გავუსვამთ ისეთ დეტალს, როგორიც, თუნდაც, ქვრივის დათია ბადიაშვილისეული შეფასებაა, მოსწავლეთა 80 პროცენტს ეს პერსონაჟი არც კი ახსოვს, არადა დეტალების გარეშე მწერლის სათქმელის სრულყოფილად ამოცნობა შეუძლებელია.

ქეთევან გუხრაშვილი
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ვახტანგ კოტეტიშვილი – „ოთარაანთ ქვრივის შესახებ“ http://genia.ge/?p=2903; აგვისტო 28, 2013
2. მაია ჯალიაშვილი – მარგინალები – ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ სწავლებისათვის http://mastsavlebeli.ge/?p=7905;
3. ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი – ქართული ენა და ლიტერატურა – „ოთარაანთ ქვრივი“.

თვალსაზრისი

განუზომელია ადამიანის შესაძლებლობები

მესტიის რაიონი, ბეჩოს თემის სოფელი მაზერი, რომელსაც თავს დასცქერის ბუნების საოცრება, ცად აზიდული მწვერვალი უშბა. სოფელს ასევე თავს დასცქერის შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლის, სვანური კოშკის ნახევარი. ნახევარს ვამბობ იმიტომ, რომ თითქოს ხერხით დახერხესო მთელ სიმაღლეზე. ჟამთა სიავეს ნახევარიღა დაუტოვებია, მაგრამ დგას ბრძოლის ველზე ყურჩამოთლილი. მხარმოკვეთილი დევგმირივით, რომელსაც ღონიერი ხერხემლის იმედით შეუძლია კიდევ შეეჭიდოს სიმძიმის აწევას. ამ კოშკს სიმაღლეში, სიგანეში განახევრებულს როდერი ხორგუანი წვერზე ისე მოექცეოდა, თითქოს აღმართი ბილიკი დაეძლიოს. მეზობლებს ან სხვა სოფლიდან მოსულ სტუმრებს, ვისაც არ სჯეროდა, რომ იგი ამ კოშკის კედელზე ადიოდა, წაართმევდა ქუდს, აიტანდა განახევრებული სვანური კოშკის კედლის თავზე და გვიან, დიდი ხვეწნის შემდეგ, ჩამოუტანდა პატრონს.

საუკუნეების განმავლობაში ეს ერთი ჭაბუკი გამოერია, რომელიც კედლის წვერში მოექცეოდა, ისე როგორც, საუკუნეთა განმავლობაში, აუღებელი ციხის – ბირთვისის მიუვალ კლდეზე, თემურ ლენგის ერთმა მოლაშქრემ, 400-საფეხურიანი თოკის კიბე აიტანა, რომლითაც რამდენიმე მებრძოლი აიყვანა ციხის გალავანზე. ციხე-სიმაგრეს შიგნით მოექცნენ თემურ ლენგის ლაშქრის მებრძოლები, ჭიშკარი გააღეს და ციხეც დაეცა – პირველად და უკანასკნელად.

სოფელ ჭუბერში არსებობს ხიდი, რომელსაც მოკლე ხიდს ეძახიან, მოკლეს იმიტომ, რომ მდინარის ნაპირები 9-10 მეტრითაა დაშორებული ერთმანეთისგან. კანიონის ეს ნაპირები ძველად კიდევ უფრო ვიწრო ყოფილა, ვიდრე ბუნების ეს უნიკალური ძეგლი ადამიანის ჩარევით არ გაფართოვდა (გასული საუკუნის 40-50-იან წლებში, როცა ზუგდიდის ქალაქდკომბინატს, სვანეთის სხვა მდინარეებით, მდინარე ნენსკრაც ამარაგებდა ხეტყით). მანამდე ამ ურჩხულის ხახაზე ორი სვანი იყო გადამხტარი ერთი ნაპირიდან მეორეზე. XIX საუკუნის შუა ხანებში – ლეგენდარული ვიცები ზუმაძე და XX საუკუნის 50-იან წლებში – სალიბე ქალდანი, რომელსაც თუ ხელში ხელბარგი არ ეჭირა, მდინარის ორივე ნაპირზე, ერთი სოფლიდან მეორეში გადასასვლელად, გზის შესამოკლებლად, ნახტომით გადადიოდა. იგივე სალიბე ქალდანი სოჭის ხეზე ავიდოდა, ფითრით გატენილ წვერს მოჭრიდა (ფითრი ზამთარში ძროხისათვის, თხისათვის უნოყიერესი საკვებია) და, მიწიდან 30 მეტრზე, წვერაჭრილ ხეზე ყირას აჭიმავდა. არც ეს „გზა გაუგრძელებია“ მას შემდეგ არავის.

1964 წელი განსაკუთრებულად წარმატებული იყო ქართული სპორტისათვის, რომლის მთავარი მოვლენაც თბილისის „დინამოს“ მიერ მოსკოვის „ტორპედოს“ დამარცხება და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედლების დაუფლება იყო. ამ გამარჯვების გამო, დინამოელებს „ოქროს ბიჭები“ შეარქვეს.

ოლიმპიურ თამაშებზე, სიმაღლეზე ხტომაში, ერთმანეთის პირისპირ დგანან: ორი საბჭოთა სპორტსმენი – ვალერი ბრუმელი, რომელსაც დაძლეული აქვს 2მ 13სმ სიმაღლე; რობერტ შავლაყაძე – დაძლეული აქვს 2მ 8სმ სიმაღლე; აშშ-ს სპორტსმენი (თომას დიუმასი), რომელსაც დაძლეული აქვს 2 10სმ. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალების შერწყმის საფუძველზე, გამარჯვება რობერტ შავლაყაძემ მოიპოვა.

განუზომელია ადამიანის შესაძლებლობები...

ასევე ბრწყინვალე შედეგით დაამთავრეს მთამსვლელებმა 1964 წელი, ლეგენდარული მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით – „უშბის სარკის შტურმი“, რომლითაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და ოქროს მედლები დაიმსახურეს. იმავე წლის დეკემბერში ორმა ქართველმა სპორტსმენმა (არ მახსოვს გვარები) ოქროს ყულაბაში ორი ოქროს მედალი შეიტანა. ქართულმა პრესამ ეს მომენტი „ოქროს წვიმის კიდევ ორ წვეთად“ მონათლა.

რით განსხვავდებოდა რობერტ შავლაყაძე თავის მეტოქეებისგან, რომელთაც ბრწყინვალედ მოუგო როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ორთაბრძოლაში?! მას სიჭაბუკეში სისტემატურად ურბენია ფეხშიშველს მიწაზე, ქვიშაზე და მადლიან ქართულ მიწაზე ამოსულ ნამიან ბალახზე, როგორც მან განმარტა ერთ-ერთ ინტერვიუში.

მოზარდი თაობის სპორტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებს ე.წ. „სახტომი ორმოები“, რომელიც გაწყობილი იყო ქვიშით ან ნახერხით და არა მარტო ხტომაში, არამედ ჭიდაობაში მოვარჯიშეებსაც ზრდიდა, რომლებიც შემდეგ საქართველოს და მსოფლიო ჩემპიონები ხდებოდნენ. სახტომ ორმოს გვერდზე ბოძებისგან გაწყობილი ღერძი იდგა და თვითნაკეთი ხის ორძელი, იქვე ელაგა ბირთვის და ბადროს შემცვლელი ქვები. სოფელ ადგილებში, გაკვეთილებს შორისაც, დასვენებებზე, სახტომ ორმოსაც, ღერძს, ორძელს, ბადროს თუ ბირთვს ბავშვები ეხვევიან, პატარები უფროსებს ბაძავენ და ოსტატდებიან. თუ სკოლაში სახტომი ორმო არ არსებობს, არც ბირთვი და ბადრო, არც სარბენი ბილიკები, არც სასტარტო საფეხურები, სპორტის განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია. დასანანია, რომ ზოგიერთ სკოლაში სპორტის სწავლება ნულზეა დაყვანილი, განსაკუთრებით მძლეოსნობაში.

მართალია, ათასში ერთხელ, როგორც თვითნაბადი ოქრო ქვიშაში, იბადებიან როდერი ხორგუანის, ვიცბის, სალიბეს და ავადმოსაგონარი თემურ ლენგის მოლაშქრესნაირი ადამიანები, მაგრამ მათი გზა ჯერ ვერავინ გაიმეორა. ის გზა, რომელიც მსოფლიო კლასის სპორტსმენებმა: სანდრო კანდელაკმა, არსენ მეკოკიშვილმა, დავით ციმაკურიძემ, ვარლამ გიგიაძემ, ვახტანგ ბალავაძემ, გივი კარტოზიამ, მირიან ცალქალამანიძემ, შოთა ლომიძემ, გურამ საღარაძემ, ლევან თედიაშვილმა და სხვებმა გაიარეს, სოფლისა და ქალაქის სკოლებში ქვიშით თუ ნახერხით გაწყობილი სახტომი ორმოთი იწყება.

ნუ გავაუქმებთ მათ!!!

აკაკი ზუმაძე
ხაიშის საჯარო სკოლის პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

ჯანსაღი კვება – XXI საუკუნის დილემა

ჯანსაღი კვება მეტად აქტუალური თემაა დღევანდელ მსოფლიოში. შექმნილია ათასგვარი კვლევითი ცენტრი, მეცნიერები ცდილობენ სწორი კვების მეთოდების შერჩევას. უამრავი ექსპერიმენტი ტარდება, ეწყობა სიმპოზიუმები, კონფერენციები, შეხვედრები, მაგრამ ჯანსაღი კვება მაინც გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

ამ პრობლემას შეეჭიდნენ თბილისის №190 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი **ქეთევან ტოგონიძე** და X^2 კლასის მოსწავლეები. 22 მაისს გაიმართა პროექტის – „ჯანსაღი კვება VS სწრაფი კვება“ – პრეზენტაცია.

მას შემდეგ, რაც შეისწავლეს საჭმლის მომნელებელი სისტემა, კერძოდ, დაბალანსებული კვება და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები, X^2 კლასის მოსწავლეებს გაუჩნდათ სურვილი მოემზადებინათ კვლევის ელემენტების შემცველი პროექტი.

მოსწავლეებმა ჩაატარეს კვლევა სკოლასა და სკოლის მიმდებარე დასახლებაში, გამოკვეთეს პრობლემა და მიზნად დაისახეს ჯანსაღი კვების პოპულარიზაცია. პროექტმა მოწონება დაიმსახურა, რადგან სხვადასხვა აქტივობებში მონაწილე მოსწავლეებმა გამოავლინეს კვლევის, თანამშრომლობის, გუნდურობისა და შემოქმედებითობის უნარ-ჩვევები: მოამზადეს ანკეტები, ჩაატარეს კვლევა, შეაგროვეს და დაახარისხეს ინფორმაცია, გაესაუბრნენ ექიმს, შექმნეს ჯანსაღი კვების თეფში და კვებითი პირამიდა. სლაიდშოუს მეშვეობით განხორციელდა პრეზენტაცია.

აღნიშნული პროექტი მოსწავლეებს დაეხმარება ჯანსაღი კვების პოპულარიზაციაში და ხელს შეუწყობს როგორც მოტივაციის, ისე შემოქმედებითი უნარების ზრდა-განვითარებას. მოსწავლეები ითანამშრომლებენ სხვა სკოლის ბავშვებთან, რაც მათ დააახლოებს და თანამშრომლობით უნარ-ჩვევებსაც განუვითარებს, თემში კი ჯანსაღ ატმოსფეროს შექმნის. ეს აუცილებელი რგოლია იმ ჯაჭვში, რომელსაც *სკოლა, ოჯახი* და *თემი* ჰქვია. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის აუცილებელია ამ რგოლების მჭიდრო კავშირი. საერთო ჯამში, თანამედროვე სკოლა წარმოუდგენელია ახლებური მიდგომების გარეშე. თავისუფალი მოქალაქის აღზრდა მხოლოდ ამგვარ მიდგომას შეუძლია.

ქეთევან ტოგონიძე
ბიოლოგიის მასწავლებელი,
სსიპ თბილისის №190 საჯარო სკოლის
საბუნებისმეტყველო კათედრა

ლიტერატურული პერსონაჟების გაცოცხლება

თათქარიძეობა არ გახლავთ ჩვენი ქვეყნის მხოლოდ წარსული, სამწუხაროდ, ეს დღესაც აქტუალური და თვალშისაცემი პრობლემაა. ამ პრობლემის წარმოსაჩენად საუკეთესო საშუალებაა ლიტერატურული პერსონაჟების გაცოცხლება და თანამედროვე სივრცეში წარმოდგენა. თბილისის №190 საჯარო სკოლაში არაჩვეულებრივი დებიუტი შედგა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **ნონა კევლიშვილმა**, 19 მაისს, სკოლის სააქტო დარბაზში, ჩაატარა თეატრალური წარმოდგენა – „თათქარიძეობა“.

ვიდრე კოსტუმირებულ-თეატრალიზებულ სანახაობას წარმოადგენდნენ, მასწავლებელმა, ქართული ენის საგნობრივ კათედრასთან ერთად, რამდენიმე საინტერესო აქტივობა დაგეგმა. კერძოდ, ჩაატარა მასალის ათვისებასთან, ტექსტის გაგებაგააზრებასთან და ძირითად სათქმელთან დაკავშირებული კვლევა-ძიება. ასე დაადგინა მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, რის შედეგადაც მიიღო პროექტზე მუშაობის გადაწყვეტილება და განახორციელა კიდეც ეს იდეა.

მოსწავლეთა აქტივობები ასახულია თბილისის №190 საჯარო სკოლის ფოტოარქივში, შექმნილია ვიდეორგოლი. ამ იდეებზე დაყრდნობით, მასწავლებელი მუშაობს ესეისტურ თემატიკაზე, მოსწავლეები წარმატებით და შთამბეჭდავად თანამშრომლობენ მასწავლებელთან. ამგვარი აქტივობები ამაღლებენ მოსწავლეთა მოტივაციას და ამრავალფეროვნებენ სასკოლო ცხოვრებას.

პრაქტიკულმა კვლევებმა მასწავლებელი დაარწმუნა მწერალ გურამ დოჩანაშვილის ფრაზის ჭეშმარიტებაში, რომ *„ყოველი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ, ადამიანი ხდება ბევრად უკეთესი, ვიდრე მანამდე იყო“*. სწორედ ესაა, ჩემი აზრით, ლიტერატურის შემეცნებითი მნიშვნელობა; ეს უნდა გაითავისოს როგორც მასწავლებელმა, ისე მოსწავლემ, თუ გვინდა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელება სკოლაში.

ქეთევან ჭელიძე
ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელი

სასკოლო აქტივობა

სასწავლო პროექტი „ერთად ვაკეთოთ სიკეთე“

ეროვნულ სასწავლო გეგმასა და თანამედროვე პედაგოგიურ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ტერმინი „პროექტი“. პროექტზე დაფუძნებული სწავლება აქტუალურია, რადგან ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავცდეთ ერთი გაკვეთილის ჩარჩოებში მოცემულ მასწავლებელზე ორიენტირებულ აქტივობებს და მოსწავლეებს შევთავაზოთ უფრო გრძელვადიანი სასწავლო აქტივობები, რომლებიც რეალურ საკითხებს ეხება. სწორად დაგეგმილი სასწავლო პროექტი პირდაპირ უკავშირდება ამა თუ იმ საგნის სტანდარტსა და შინაარსს.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის მანძილზე არაერთი სასწავლო პროექტი განმიხორციელებია, მათ შორის გამორჩეულია IV[6] კლასში ჩატარებული „ერთად ვაკეთოთ სიკეთე“, რომლის საფუძველი გახდა ტექსტი „კეთილი უჩინმაჩინები“.

უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრა პროექტის მთავარი იდეა. დავუსვი კითხვა საკუთარ თავს: რა არის უმთავრესი, რასაც მოსწავლეები ისწავლიან ამ პროექტის განხორციელებისას? აღმოჩნდა, რომ კონკრეტული საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

მომდევნო ეტაპზე განისაზღვრა პროექტის აქტუალობა. პროექტი აქტუალურია. მოსწავლეებმა თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გადაიტანეს, ეწვივნენ სხვადასხვა დაწესებულებებს და დაეხმარნენ მათ, ვისაც დახმარება ძალიან სჭირდება.

განისაზღვრა სასწავლო პროექტის შეფასების საგანი და პროცედურები. გამოვიყენე თვითშეფასების კითხვარი და პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, შედგა პროექტის მსვლელობის გეგმა, სადაც პუნქტობრივად გავწერე შედეგების მისაღწევად განსახორციელებელი ქმედებები, საქმიანობისთვის განკუთვნილი ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები. განისაზღვრა პროექტის განხორციელების დრო – 3 კვირა.

მოსწავლეები გულისფანცქალით ელოდნენ პრეზენტაციის დღეს, რომელიც პირველი საჯარო სკოლის ბიბლიოთეკაში ჩატარდა. ოთხი ჯგუფი – „წმინდა სამების მსახურნი“, „სიკეთის ელჩები“, „ღვთისშვილები“ და „ქველმოქმედთა სამყაროში“ – საინტერესო მასალით წარდგა დირექციისა და მასწავლებლების წინაშე. მათი სლოგანები „ერთად ვაკეთოთ სიკეთე“, „სიკეთით სძლიე შენს მტერსა“, „კეთილის სამსახურისთვის ღმერთი ასწილ მოგიზღვავს“ არა მარტო ფრაზებად გაისმა, არამედ მათ საქმიანობაში აისახა. მოსწავლეებმა საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმოადგინეს თავიანთი საქმიანობის ამსახველი ვიდეოკოლაჟი. ისინი ეწვივნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრს, მოინახულეს ცხოველთა თავშესაფარი, დაასუფთავეს ეკლესიები და, უბრალოდ, სასიამოვნო ღიმილი მოჰგვარეს თანაქალაქელებს, როცა ისინი ყვავილებითა და ბუშტებით დაასაჩუქრეს. აღნიშნული ქმედებებით მოსწავლეები მიხვდნენ, რომ სიკეთე გადამდებია. ის უსასრულო, დაუსაბამო და ჭეშმარიტია, როგორც მზე და მისი სხივები.

პროექტის მიზანი მიღწეულია, მოსწავლეებს განუვითარდათ სასიცოცხლო უნარები, მათ გამოიყენეს სხვადასხვა სტრატეგიები ინფორმაციის მოსაძიებლად და კონკრეტული საკითხების დასამუშავებლად, სათანადოდ გააფორმეს მიზნობრივი ტექსტები, გამოავლინეს არავერბალური ინტერპრეტაციის უნარები და, რაც მთავარია, გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, გამოავლინეს ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილი. ყველა ჩამოთვლილი აქტივობა პროექტში მონაწილე მოსწავლეთა სრულყოფილ მოქალაქეებად ჩამოყალიბების საწინდარია.

ლალა გელოვანი
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

კონკურსი

ჩვენ ვსწავლობთ საქართველოს ისტორიას

11 მაისს, თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით, სსიპ დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლაში, გაიმართა რაიონული კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ საქართველოს ისტორიას“, სადაც მუნიციპალიტეტის თერთმეტივე საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა 33 გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს, სულ 165 მოსწავლე. ღონისძიებამ საინტერესოდ ჩაიარა, საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

დაწყებითი საფეხურის გუნდები

I ადგილი – სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლა;
II ადგილი – სსიპ დაბა თიანეთის №1 საჯარო სკოლა;
III ადგილი – სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა.

საბაზო საფეხურის გუნდები

I ადგილი – სსიპ დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლა;
II ადგილი – სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარიძეების საჯარო სკოლა;
III ადგილი – სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა სიონის საჯარო სკოლა.

საშუალო საფეხურის გუნდები

I ადგილი – სსიპ დაბა თიანეთის №1 საჯარო სკოლა;
II ადგილი – სსიპ დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლა;
III ადგილი – სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიშურების საჯარო სკოლა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა სსიპ დაბა თიანეთის №1 საჯარო სკოლამ (1190 ქულით), II – სსიპ დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლამ (1181 ქულით), ხოლო III – სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლამ (1062 ქულით).

საპრიზო ადგილზე გასული ყველა გუნდის წევრს გადაეცა ფასიანი საჩუქარი, გუნდებს – საგანმანათლებლო რესურსცენტრის შესაბამისი ხარისხის დიპლომები, ასევე, ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ საპრიზო ადგილებზე გასული სკოლების ისტორიის მასწავლებლები და პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგის მქონე ოთხი მოსწავლე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ლალი ბუწანკალური**, კულტურის სამსახურის უფროსი **ლალი ქაჩლიშვილი**, პოეტი **ტარიელ ხარხელაური**, მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ფარნაოზ იორდანიშვილი** და დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **დავით ოსეფაშვილი**; საჯარო სკოლების მოსწავლეები, დირექტორები, პედაგოგები.

ტარიელ ხარხელაური: *„ეს არის დღე, რომელიც ასე სჭირდება დღევანდელობას. საკუთარი ერის ისტორიის არცოდნა ხელს შეუშლის მომავლის განსაზღვრას. ვფიქრობ, ასეთი ღონისძიებები ხშირად უნდა ტარდებოდეს, რათა ვისწავლოთ სწორად ცხოვრების წესი“.*

დავით ოსეფაშვილი, დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი: *„მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს კოლეგას,* ***ირაკლი ზვიადაურს****, ასეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებისთვის. თითოეული ჩვენგანის ვალია არა მარტო ვიცოდეთ, არამედ გვიყვარდეს ჩვენი ერის ისტორია. მომავალ თაობებს უნდა გადავცეთ ჩვენი წინაპრების ღირსეული ქმედებები“.*

ლალი ბუწანკალური, თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე: *„ყველას გილოცავთ ამ მნიშვნელოვან დღეს. აქ მყოფი ყველა მოსწავლე გამარჯვებულია, რადგან მათ გაუჩნდათ სურვილი ასეთ საპასუხისმგებლო კონკურსში მიეღოთ მონაწილეობა. გამარჯვებულ გუნდებს ვულოცავ წარმატებას და მაქვს პატივი, დღევანდელი წარმატება განსაკუთრებულად მივულოცო პირველ ადგილზე გასულ თიანეთის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებს, მათ დირექტორს, ქალბატონ* ***ნათელა კოჭლამაზაშვილს*** *და ამ სკოლის ყველა მასწავლებელს. ეს სკოლა ჩემთვის განსაკუთრებულად ახლობელია, რადგან მე ამ სკოლის მოსწავლე, მასწავლებელი და დირექტორი ვიყავი. ძალიან მიხარია, რომ ასეთ საპასუხისმგებლო და პატრიოტულ კონკურსში სკოლამ პირველი ადგილი დაიკავა“.*

ირაკლი ზვიადაური
თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

კონკურსი

„არქიმედეს თასი–2017“

მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის, ორი წელია, პროექტის „არქიმედეს თასი“ ფარგლებში, ტარდება ღონისძიება/კონკურსი (პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი – **დათუნა ჯოხაძე**, იფარის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილე).

პროექტის შექმნის იდეა რაიონული მასშტაბით სკოლებს შორის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილმა პრობლემამ გააჩინა. კვლევამ აჩვენა, რომ დაბალია მოსწავლეთა ინტერესი საბუნებისმეტყველო დარგების, კერძოდ ფიზიკის მიმართ (რთულ დარგად მიაჩნიათ). დადგინდა, რომ გამოკითხულ მოსწავლეთა 60-70%-ს უჭირს ფიზიკის სწავლა. მიმაჩნია, რომ ეს პრობლემა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლეები თანდათან შორდებიან ამ დარგს, შესაბამისად დაბალია მათი მოსწრების დონე. ამ პროექტის შექმნის მიზანი სწორედ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაა.

„ვფიქრობ, ამ პროექტის განხორციელება, რომელიც ყოველწლიურად ჩატარდება, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საგნისადმი ინტერესის გაღვივებას, კვლევითი და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას, ფიზიკის სწავლების მიმართ მოტივაციის ამაღლებას. მოსწავლეები შეძლებენ, კონკურენტულ გარემოში, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენასა და ცოდნის რეალიზებას, გაიცნობენ ერთმანეთს.“ – აღნიშნავს დათუნა ჯოხაძე.

მიმდინარე წლის 20 მაისს, „არქიმედეს თასი-2017“ მეორედ ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტის №2 საჯარო სკოლაში. ღონისძიებას კონკურსის სახე ჰქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ, გასულ წელთან შედარებით, პროექტში მონაწილე სკოლების გუნდები/მოსწავლეები გაცილებით მოტივირებულები იყვნენ, ჰქონდათ თასის მოპოვებისა და დიპლომების მიღების სურვილი და ხალისით უდგებოდნენ დავალებების შესრულებას. ღონისძიებას ესწრებოდნენ: მასწავლებლები, მშობლები, საზოგადოების წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები.

კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად: პირველი ტური, ტესტირების სახით, 10 მაისს ჩატარდა სკოლებში. თითოეული სკოლიდან შეირჩა ოთხკაციანი გუნდი, 20 მაისს გამართულ სარაიონო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის, რომელშიც ჩართული იყო რაიონის 9 საჯარო სკოლა (36 მოსწავლე):

❖ მესტიის №2 საჯარო სკოლა (დირექტორი – **ნატო გვარლიანი**; ფიზიკის მასწავლებელი – **მაია ხორგუანი**);
❖ მესტიის №1 საჯარო სკოლა (დირექტორი – **ნანა რატიანი**; ფიზიკის მასწავლებელი – **თამარ ბედენაშვილი**);
❖ მაზერის საჯარო სკოლა (დირექტორი – **ნარგიზა ხორგუანი**; ფიზიკის მასწავლებელი – **თინათინ კუზანაშვილი**);
❖ ლატალის საჯარო სკოლა (დირექტორი – **ციოყი წერედიანი**; ფიზიკის მასწავლებელი – **ლალა წერედიანი**);
❖ იფარის საჯარო სკოლა (დირექტორი – **ციცინო ფანგანი**; ფიზიკის მასწავლებელი – **დათუნა ჯოხაძე**);
❖ ეცერის საჯარო სკოლა (დირექტორი – **ქეთევან გურჩიანი**; ფიზიკის მასწავლებელი – **ნინელი გაბრიჭიძე**);
❖ უშგულის საჯარო სკოლა (დირექტორი – **ნონა რატიანი**; ფიზიკის მასწავლებელი – **ივანე ნიჟარაძე**);
❖ წვირმის საჯარო სკოლა (დირექტორი – **ლალი გულედანი**; ფიზიკის მასწავლებელი – **ზურაბ ბართაია**);
❖ მულახის საჯარო სკოლა (დირექტორი – **ნელი გუჯეჯიანი**, ფიზიკის მასწავლებელი – **მარინე ტაკაშვილი**).

მეორე ტური ორი ნაწილისაგან შედგებოდა – *თეორიული და კითხვების.*

თეორიული ტური ჩატარდა, კლასების მიხედვით, ტესტირების სახით, სადაც მოსწავლეებმა შეძლეს, კონკურენტულ გარემოში, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა და ცოდნის რეალიზება. დიდი იყო მოსწავლეთა ინტერესი კითხვების ტურის მიმართ, რომელზეც წარმოდგენილი იყო ვიდეოკითხვები, ექსპერიმენტები და ილუსტრირებული კითხვები.

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, იფარის საჯარო სკოლისა და პროექტის ავტორის მიერ, გამარჯვებული გუნდებისთვის, დაწესებული იყო პრიზები:

❖ პირველი ადგილი – I ხარისხის დიპლომი და გარდამავალი თასი;
❖ მეორე ადგილი – II ხარისხის დიპლომი;
❖ მესამე ადგილი – III ხარისხის დიპლომი.

საბოლოო მონაცემებით, პრიზები ასე გადანაწილდა:

❖ **პირველი ადგილი – მესტიის №2 საჯარო სკოლის გუნდი „ელექტრონი“;**
❖ **მეორე ადგილი – მესტიის №1 საჯარო სკოლის გუნდი „ბერკეტი“;**
❖ **მესამე ადგილი – სოფელ ეცერის საჯარო სკოლის გუნდი „სინათლე“.**

კლასების მიხედვით, თეორიულ ნაწილში საუკეთესო შედეგებისათვის, დიპლომებით დაჯილდოვდნენ:

VIII კლასი

❖ **ნიკა გვარლიანი** – მესტიის №2 საჯარო სკოლა;
❖ **ლიკა აფრასიძე** – სოფელ ეცერის საჯარო სკოლა;

❖ **მონიკა გურჩიანი** – სოფელ ეცერის საჯარო სკოლა.

IXკლასი

❖ **თამარ გირგვლიანი** – სოფელ ლატალის საჯარო სკოლა;
❖ **ელენე გვარლიანი** – მესტიის №2 საჯარო სკოლა;
❖ **ქრისტინა გვარლიანი** – მესტიის №2 საჯარო სკოლა.

X კლასი

❖ **ნინო კორძაია** – სოფელ იფარის საჯარო სკოლა;
❖ **ლიკა გურჩიანი** – მესტიის №1 საჯარო სკოლა;
❖ **სოფო ქურდიანი** – მესტიის №2 საჯარო სკოლა.

XI კლასი:

❖ **ანა ჩართოლანი** – მესტიის №1 საჯარო სკოლა;
❖ **ანანო ფილფანი** – მესტიის №1 საჯარო სკოლა.

პროექტში მონაწილე ყველა გუნდი დაჯილდოვდა სიგელით.

იფარის საჯარო სკოლის დირექტორმა **ციცინო ფანგანმა** და პროექტის ავტორმა **დათუნა ჯოხაძემ** მადლობა გადაუხადეს მესტიის მუნიციპალიტეტის (გამგებელი – **კაპიტონ ჟორჟოლიანი**) განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელს, ქალბატონ **ელენე განაიას**, პროექტის მხარდაჭერისა და ფინანსური უზრუნველყოფისთვის; მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, ქალბატონ **დარეჯან ნიგურიანს** მხარდაჭერისათვის და ზოგადად პროექტის განხორციელებაში დიდი წვლილის შეტანისათვის.

თეონა ფანგანი
იფარის საჯარო სკოლის ისტ-ის მასწავლებელი

პატარა მომღერლების წარმატება

ახლახან აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარდა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „არტ ოლიმპია – 2017“, სადაც ნიჭიერმა ბავშვებმა მოიყარეს თავი. კონკურსის პროგრამა მრავალი ჟანრით იყო წარმოდგენილი: საორკესტრო, ქორეოგრაფიული, საესტრადო და კლასიკური ვოკალი. საესტრადო ვოკალურ ჟანრში ასაკობრივი დაჯგუფებები იყო. უმცროს ასაკობრივ ჯგუფში მონაწილეობდნენ საესტრადო ანსამბლ „იმედის“ პატარა ქართველი სოლისტები: **ანიტა ჯაოშვილი**, 5 წლამდე ჯგუფში, რომელიც თბილისის 173-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელია (დირექტორი – **მარინა ზაალიშვილი**, მუსიკის პედაგოგი – **მარიამ სიფრაშვილი**) და **ნანუკა შუბითიძე**, 7-10 წლამდე ჯგუფში, თბილისის 175-ე სკოლის I კლასის მოსწავლე (დირექტორი – **თინათინ ალავიძე**, დამრიგებელი – **ნელი ფირანიშვილი**).

პატარებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. ანიტამ და ნანუკამ კონკურსზე თავიანთი ხელმძღვანელის, კომპოზიტორ **ნიკოლოზ თითირაშვილის** სიმღერები შეასრულეს: „მგალობელი ჩიტი“ და „ნანა“. ანიტა კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილე იყო, რომელსაც ჟიურის სიმპათია და III საპრიზო ადგილი ხვდა წილად, ხოლო 7 წლის ნანუკამ უმაღლესი ჯილდო – I ადგილი დაიმსახურა. ამ სიმღერების არანჟირების ავტორია ნიჭიერი მუსიკოსი და პიანისტი **ჯონდო თითირაშვილი**, რომელიც ამჟამად ლოს-ანჟელესში მოღვაწეობს. ნიკოლოზ და ჯონდო თითირაშვილების სიმღერა „ნანა“ ჟიურიმ საუკეთესო საავტორო საბავშვო სიმღერად აღიარა.

პატარა მომღერლებმა საქართველო ასახელეს და ამაყები დაბრუნდნენ სამშობლოში. კარგ მოგონებად დარჩათ ახალი მეგობრები, ექსკურსიები ღირსშესანიშნავ ადგილებში – ბაქოს ძველ უბნებსა და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში. პატარებს განსაკუთრებით მოეწონათ თოჯინების მუზეუმი.

წინ საინტერესო გეგმებია, წარმატება ვუსურვოთ პატარა მომღერლებსა და მათ ხელმძღვანელს.

ინფორმაცია

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოწვევების შესაბამისად, სპეციალურად პედაგოგებისთვის, კიბერუსაფრთხოების ვიდეოგზამკვლევი შექმნა. გზამკვლევი ხელმისაწვდომია ციფრული რესურსების პორტალზე

www.ict.tpdc.ge

ციფრული რესურსების პორტალი ონლაინ სასწავლო გარემოა, რომელიც დაინტერესებულ მასწავლებლებს სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამების, საგანმანათლებლო ტექნოლოგიებითა და მათი სასწავლო პროცესში ინტეგრირების მეთოდოლოგიით უზრუნველყოფს.

http://www.ict.tpdc.ge (ციფრული რესურსების პორტალი)
http://www.ict.tpdc.ge/video/121 (კიბერუსაფრთხოების გზამკვლევი)

გამოცდები-2017

გთავაზობთ 2017 წლის გამოცდების ჩატარების განრიგს

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი:

• 3-4 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – ქართული ენა და ლიტერატურა;
• 6-7 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – ზოგადი უნარები;
• 10-11 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – ინგლისური ენა;
• 10 ივლისი (პირველი სესია) 11 ივლისი (მეორე სესია) – რუსული ენა;
• 10 ივლისი (მეორე სესია) – ფრანგული ენა;
• 11 ივლისი (პირველი სესია) – გერმანული ენა;
• 12 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – გეოგრაფია;
• 13 ივლისი (მეორე სესია) – მათემატიკა;
• 14 ივლისი (მეორე სესია) – ლიტერატურა;
• 17 ივლისი (პირველი და მეორე სესია) – ისტორია;
• 18 ივლისი (მეორე სესია) – ბიოლოგია;
• 19 ივლისი (მეორე სესია) – ქიმია;
• 25 ივლისი (პირველი სესია) – სამოქალაქო განათლება;
• 26 ივლისი (პირველი სესია) – ფიზიკა;
• 26 ივლისი (პირველი სესია) – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
• 27 ივლისი (პირველი სესია) – სტუდენტთა საგრანტო კონკურსი.

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების განრიგი:

• 20 ივლისი (მეორე სესია) – წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა (ტესტის ტიპი: A);
• 21 ივლისი (მეორე სესია) – ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა (ტესტის ტიპი: A);
• 24 ივლისი (მეორე სესია) – წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა (ტესტის ტიპი: B);
• 25 ივლისი (მეორე სესია) – ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა (ტესტის ტიპი: B);
• 26 ივლისი (მეორე სესია) – წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა (ტესტის ტიპი: C);
• 27 ივლისი (მეორე სესია) – ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა (ტესტის ტიპი: C).

მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურება – განრიგი:

13 ივლისი:
• ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV);
• ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI);
• ბუნებისმეტყველება (I-VI).
14 ივლისი:
• მათემატიკა (I-VI);
• ქართული ენა და ლიტერატურა (VII-XII);
• სამოქალაქო განათლება;
• ფიზიკა.
18 ივლისი:
• პროფესიული უნარები.
19 ივლისი:
• პროფესიული უნარები.
20 ივლისი:
• მათემატიკა (VII-XII);
• ისტორია;
• ბიოლოგია;
• გეოგრაფია.
21 ივლისი:
• ინგლისური ენა – წერითი ნაწილი;
• რუსული ენა – წერითი ნაწილი;
• გერმანული ენა – წერითი ნაწილი;
• ფრანგული ენა – წერითი ნაწილი;
• ქართული, როგორც მეორე ენა – წერითი ნაწილი;
• ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – წერითი ნაწილი.
22 ივლისი:
• ინგლისური ენა – პრაქტიკული ნაწილი;
• რუსული ენა– პრაქტიკული ნაწილი;
• გერმანული ენა – პრაქტიკული ნაწილი;
• ფრანგული ენა – პრაქტიკული ნაწილი;
• ქართული, როგორც მეორე ენა – პრაქტიკული ნაწილი.
23 ივლისი:
• ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – პრაქტიკული ნაწილი.
24 ივლისი:
• ქიმია;
• სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
• სპორტი;
• მუსიკა.

სპორტი

ქუთაისს სტუმრები მოუმრავლდა

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე, ივნისის ბოლოს, ქუთაისში გასამართავი ფინალური ეტაპის კიდევ რამდენიმე მონაწილე გამოვლინდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. აღმოსავლეთის ზონიდან ფინალური ეტაპის მონაწილეებს ხელბურთელები შეუერთდნენ, დასავლეთიდან – მაგიდის ჩოგბურთელები და მინი-ფეხბურთელები.

ხელბურთის ზონალურ პირველობას თბილისმა უმასპინძლა, შეჯიბრება კი ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ჩატარდა. იქ თავი მოიყარეს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების გამარჯვებულმა გუნდებმა – გოგონებმაც და ბიჭებმაც. ორივე სქესის წარმომადგენლებში ყველაზე უფრო ყოჩაღები კახელები აღმოჩნდნენ: ბიჭებში გურჯაანის სოფელ ახაშენის საჯარო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა, გოგონებში კი პირველობა არავის დაუთმო ყვარლის №1 საჯარო სკოლამ. თუმცა ყვარლელთა სახელბურთო ტრადიციებიდან გამომდინარე, ეს არცაა გასაკვირი.

ზონალური თამაშების მასპინძლად აღმოსავლეთში თუ თბილისი გვევლინება, დასავლეთში ამგვარი მისია ქუთაისს დაეკისრა – თითქმის ყველა სახეობაში მან უმასპინძლა ანალოგიურ შეჯიბრებებს. 28 მაისსაც იქ გაიმართა დასავლეთის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, სადაც მასპინძელთა გასახარად, ბიჭებში წარმატებას ქუთაისის ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ გუნდმა მიაღწია, გოგონებში კი ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა იყოჩაღეს. აღსანიშნავია, რომ ზემო აჭარიდან ვაიოს სკოლა მეორე გუნდია, ვინც ფინალური ეტაპის საგზური დაისაკუთრა. ერთი კვირის წინ ანალოგიურ წარმატებას, 3X3 კალათბურთში, დაბა ხულოს საჯარო სკოლის გოგონებმა მიაღწიეს.

მაგიდის ჩოგბურთისგან განსხვავებით, მინი-ფეხბურთში პირველობისთვის მხოლოდ ბიჭები იბრძოდნენ – დასავლეთის სხვადასხვა რეგიონების გამარჯვებულები, საბოლოოდ კი წარმატება ზუგდიდელებმა იზეიმეს, №6 საჯარო სკოლის გუნდმა, რომელმაც მოიპოვა კიდეც ქვეყნის პირველობის ფინალურ შეხვედრაში ასპარეზობის უფლება.

პატარიძე ახალგაზრდებზე ბევრად დიდია

ბოლო უქმეებზე ჩვენი ახალგაზრდა მოჭიდავეები ორივე სტილით ჭიდაობაში სხვადასხვა ტურნირებზე გამოვიდნენ და წარმატებითაც. განსაკუთრებით – ბერძენ-რომაელები, რომლებმაც დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, დიდი წარმატებით იასპარეზეს იტალიურ სასარიში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც **სოსო ჯაბიძის** შეგირდებმა 7 მედალი მოიპოვეს, თანაც, უმეტესობა ოქროსი – 5, თითო-თითო კი ვერცხლი და ბრინჯაოა.

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: **ნუგზარ წურწუმია** (55), **გიორგი კურტანიძე** (66), **ბექა მამუკაშვილი** (84), **გიორგი ბარბაქაძე** (96) და **ზვიად პატარიძე** (120). მეორე ადგილზე **ლერი აბულაძე** (66) გავიდა, ხოლო მესამე პრიზიორი **რამაზ სილაგავა** (55) გახდა.

სასიამოვნოა, რომ 66 კილოგრამში ქართული ფინალიც გაიმართა, სადაც კურტანიძემ იმარჯვა. თუმცა ის ამ წონის და ამ გუნდის ძველი წევრია, აბულაძე კი წლეულს გადმოვიდა ჭაბუკებიდან და თანაც, ქვედა წონებში ჭიდაობს, 66-ში კი ძალა მოსინჯა.

მოსალოდნელი იყო წურწუმიას და პატარიძის გამარჯვებები, როგორც გუნდის ლიდერების და გამოცდილი წევრებისა, ბარბაქაძე და მამუკაშვილი კი შედარებით ახლები არიან.

ცალკეა აღსანიშნავი პატარიძე, ვინც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ წონაში ნამდვილი მონსტრია. მან ფინალში იტალიელი **ლუკა გოდინო**, სულ რაღაც 42 წამში, ბეჭებზე დააწვინა, თუმცა მანამდე 71 ქულაც აართვა. ჩვენებურმა პირველი ქულა მე-15 წამზე მოიპოვა, როცა მეტოქემ დგომში ჯვარედინ მოვლებაზე შეკვრის საშუალება არ მისცა და გარეთ გავიდა – 1:0. გოდინომ ერთხელ კი დაიძვრინა თავი მინიმალური დანაკარგით ამ ფანდისგან, თუმცა კოკამ ყოველთვის არ მოიტანა წყალი და განახლებისთანავე პატარიძემ მოახერხა „ჯვარზე“ შეკვრა, რითაც 2-ქულიანზე გადააგდო, მალევე კი ისევ გაიმეორა ის გდება, ოღონდ ბევრად უფრო დახვეწილად: ამჯერად დიდი ტრაექტორიით დაიქნია, 4-ქულიანზე გადმოიღო და თან ბეჭებზეც დადო.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებმა, **გელა საღირაშვილის** ხელმძღვანელობით, ანტალიაში იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირზე „ჩემპიონი“, თუმცა მათი საჩემპიონო მედალი იქ არ აღმოჩნდა: ჩვენებმა 4 მედალი კი მოიპოვეს, მაგრამ არც ერთი არაა ოქროსი, 2-2 ვერცხლი და ბრინჯაოა. სამწუხაროა, რომ ქართველთაგან ჩემპიონობის შანსი ორს მიეცა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გამოიყენა: სამტრედიელი **ივერიკო ჯულაყიძე** (66) მცხეთელი **ზურაბ ურთაშვილი** (97) ფინალში გავიდნენ, თუმცა დამარცხდნენ და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ბრინჯაოს მედლებს ხარაგაულელი **ზაურ ბერაძე** (84) და მცხეთელი **გივი მაჭარაშვილი** (97) დაეუფლნენ.

რა ისწავლეს მასწავლებლებმა?

ჩვენ უკვე გაცნობეთ იმ ერთობლივი პროექტის შესახებ, რომელიც განათლებისა და მეცნიერების და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროებმა, სპორტის სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად წამოიწყეს პროექტი საჯარო სკოლების სპორტის მასწავლებელთა გადამზადებას, სკოლებში თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის დანერგვას ითვალისწინებს.

საპილოტედ შეირჩა სპორტის 7 სახეობა, ძირითადად, გუნდურები – ფეხბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი და რაგბი, რომლებსაც ინდივიდუალურებიდან დაემატა მძლეოსნობა და ტანვარჯიში, თუმცა იყო ერთი მასწავლებელი მაგიდის ჩოგბურთიდან, რომელმაც ასევე გაიარა მომზადება.

საპილოტე პროგრამაში ჩაერთო 19 სკოლა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელთა პედაგოგებსაც თბილისში, სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე, ჩაუტარდათ თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობები. ისინი იქვე ცხოვრობდნენ და თეორიული სწავლების შედეგის პრაქტიკაში დანერგვასაც იქვე ცდილობდნენ, უნივერსიტეტის კუთვნილ მოედანზე. პედაგოგებს ასწავლიდნენ სპორტის კონკრეტული სახეობების სწავლების მეთოდიკას, როგორ უნდა მიეტანათ ეს ყველაფერი მოსწავლეებამდე ისე, რომ სახალისოც ყოფილიყო და საარგებლოც. მათ სათანადო ლიტერატურაც დაურიგდათ ადგილზე პრაქტიკულ სწავლებაში დახმარებისთვის.

ორგანიზატორები მაშინვე ამბობდნენ და ეს პროგრამის დებულებაშიც იდო, რომ არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ თბილისში სწავლებით და ადგილებზეც შეამოწმებდნენ, რას და როგორ აკეთებდნენ ამ ახალი მეთოდიკით.

და აი, ეს დროც დადგა – ლამის ერთი თვის განმავლობაში ინსტრუქტორებმა მოიარეს 19-ვე სკოლა და ადგილებზე შეამოწმეს გადამზადებული პედაგოგები. ჯერ ისევ მიდის ამ კვლევის შედეგების განხილვა, პროცესი არ დასრულებულა და უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება საბოლოო დასკვნა, თუმცა ზეპირი ინფორმაციებით და პირველი შეხედვით, შთაბეჭდილებები დადებითია, ანუ მასწავლებელთა უმრავლესობამ კარგად აუღო ალღო ახალ მიდგომებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მხოლოდ ამ სკოლების შემოწმებით არაა დაკავებული, დედაქალაქის სხვა სკოლებსაც ამოწმებს, რომლებიც ამჯერად ვერ მოხვდნენ საპილოტე პროგრამაში, სპორტის მასწავლებელთა გარდა, აჯერებენ მოსწავლეთა აზრებსაც და ამ კვლევის შედეგებსაც ამზადებენ საზოგადოების განსახილველად.

ილიოპოლისის კავალერები

ათენში ჩატარდა „ილიოპოლისის თასის“ მეხუთე გათამაშება ძიუდოში, რომელშიც საქართველოდან სხვადასხვა კლუბების წარმომადგენლებმა იასპარეზეს. მათი იქ გამგზავრება მთლიანად თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა დააფინანსა, ხელმძღვანელთა – **ირაკლი გვილავასა** და **გეგა ზურაბაშვილის** დიდი მონდომებით.

ამ შეჯიბრებას საერთაშორისო B კატეგორიის ქალბატონი **კაკია ლიმპელი** ატარებს და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში იმართება – უფროსებიდან დაწყებული, 2011 წელს დაბადებულებით დამთავრებული.

ჩვენებმა ათენში 19 მედალი მოიპოვეს – 10 ოქრო, 2 ვერცხლი, 7 – ბრინჯაო. აქედან მხოლოდ 3-ია უფროსთა მონაპოვარი, თუმცა 3-ვე ჯილდო ოქროსია. უმცროსებში ჩემპიონები გახდნენ: **დიეგო ალაგარდაშვილი** (27კგ), **თემურ მეტრეველი** (33), **გიგი ივანიშვილი** (60), **გუგა ამირხანაშვილი** (42), **ლუკა კუხალეიშვილი** (46), **თორნიკე ჯინჭველაძე** (50) და **ამირან თაბუკაშვილი** (55). ვერცხლის მედლებს **საბა ფილაური** (24) და **გიორგი ცისკაძე** (66) დაეუფლნენ, მესამეზე კი **საბა ნოზაძე** (30), **ტატო მეზურნიშვილი** (30), **გიგა გიგუაშვილი** (38), **ნიკა ბერაძე** (60), **ლაშა როსტიაშვილი** (42), **გიორგი როდონაია**, **ნიკა გამხიტაშვილი** (ორივე – 66) გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთაგან ივანიშვილმა, ამირხანაშვილმა და კუხალეიშვილმა ყველა შეხვედრა წმინდად მოიგეს, ხოლო გიგუაშვილისთვის ეს პირველი ტურნირი იყო უცხოეთში.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესასრულებელი სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** შესასრულებელი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

ს ი ა ხ ლ ე

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა

წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“

წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე



ერთი ტომის ფასი – 9 ლარი

თემატური ენციკლოპედია „რა არის რა“

- ქიმია
- მეცნიერებები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- კრიმინალისტიკა
- არქიტექტურა
- ევროპა
- უძველესი ადამიანი
- მეკობრეები
- ჯანსაღი კვება
- ამინდი
- ოლიმპიური თამაშები

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >